

1956

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებებითა და განკარგულებებით

პრეზუმი

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

11-12



ნოემბერი — დეკემბერი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ვედაგომიკურ მუცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა

19 თბილისი 56

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

დაუსწრებელი საშუალო სკოლის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებები

1. დაუსწრებელი საშუალო სკოლის მიზანია მშრომელებს მისცეს ზოგადი განათლება შეიძლიან და საშუალო სკოლის მოცულობით, მოსწავლეები შეაიარაღოს მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე და სისტემატური ცოდნით; აღჭურვოს ისინი ისეთი ცოდნა-ჩვევებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თეორიული ცოდნის გამოყენებას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში.

2. დაუსწრებელ საშუალო სკოლებში იქმნება ყველა კლასი გარდა დაწყებითი კლასებისა.

3. დაუსწრებელი საშუალო სკოლა შეიძლება გაიხსნას როგორც რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის და ოლქის ცენტრებში, აგრეთვე რესპუბლიკის დაქვემდებარებულ ქალაქებში.

4. პერიფერიების მოსწავლეთა უკეთ მონახულების მიზნით ადგილობრივ საშუალო სკოლებთან დაუსწრებელი საშუალო სკოლა აწყობს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებს.

სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი რომ გაიხსნას, აუცილებელია ამ რაიონიდან დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმული იყოს არა ნაკლებ 60 მსმენელისა.

იმ შემთხვევაში, როცა მსმენელთა რაოდენობა 60-ზე ნაკლებია, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების ან ოლქის განათლების განყოფილების ბრძანებით დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმული პირები საკონსულტაციოდ მიემაგრებიან საშუალო სკოლას მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლა უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ხოლო ყველა დანარჩენი დაუსწრებელი საშუალო სკოლები ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, საოლქო და

საქალაქო განათლების განყოფილებებს, რომლებსაც ევალებათ ამ სკოლების ხელმძღვანელობა და მათ მუშაობაზე კონტროლურ მუშაობას, სკოლების უზრუნველყოფა სასკოლო შენობებით, მასწავლებლებით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებითა და სასკოლო დოკუმენტაციით, სასწავლო—საკონსულტაციო პუნქტების ქსელის ორგანიზაცია.

II. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია

6. დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო წელი იწყება 1-ელ სექტემბერს, მთავრდება 30 ივნისს და იყოფა ორ ნახევარ წლად: პირველი ნახევარი წელი—1-ლი სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე და მეორე—1-ლი იანვრიდან 30 ივნისამდე.

7. დაუსწრებელი სკოლები მუშაობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმით, პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით;

დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა დახმარების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ცალკეულ საგნებში სცემს მეთოდურ განაკვეთებს.

8. დაუსწრებელ სკოლაში სწავლების საფუძველს წარმოადგენს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა. მოსწავლეთა დასახმარებლად სკოლა აწყობს ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს სასწავლო გეგმის შესაბამისად.

მოსწავლეს, რომელსაც კონსულტაციებზე დასწრების საშუალება არა აქვს, დაუსწრებელი სკოლა უწევს კონსულტაციას წერილობით.

9. დაუსწრებელი საშუალო სკოლის მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება ხდება გამოკითხვით კურსის გარკვეულ განყოფილებაში, წერითი საკონტროლო სამუშაოთა შესრულების მხედველობაში მიღებით ისეთ საგნებში, როგორცაა მშობლიური ენა, რუსული ენა (არარუსულ სკოლებში), უცხო ენა, მათემატიკა. დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად მას ეწერება ნიშანი ამა თუ იმ ჩათვლაში. ჩათვლათა რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო გეგმით. დაუსწრებელი სკოლის მოსწავლემ, რომელსაც არა აქვს საშუალება ჩააბაროს ჩათვლა ზეპირად, უნდა წარმოადგინოს წერილობითი ნაშრომი თითოეულ საგანში იმ რაოდენობით, რამდენი ზეპირი ჩათვლაც ევალება.

მოსწავლეთა ცოდნა ფასდება ხუთბალიანი სისტემით.

10. გადასაყვანი, გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები დაუსწრებელ საშუალო სკოლაში წარმოებენ/განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო მეთოდური ინსტრუქციით.

დაუსწრებელი სკოლის მოსწავლე, რომელსაც არა აქვს საშუალება ჩააბაროს ზეპირი ჩათვლები წლის განმავლობაში და წარმოადგენს მხოლოდ წერით საკონტროლო ნამუშევრებს, წლის ბოლოს გამოცდებს ჩააბარებს ამა თუ იმ კლასის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში.

დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმული მოსწავლეები კლასიდან კლასში გადასაყვან გამოცდებს აბარებენ დაუსწრებელ სკოლაში და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში, გამოსაშვებ გამოცდებს შვიდწლიანი სკოლის კურსზე და სიმწიფის ატესტატზე—მხოლოდ დაუსწრებელ სკოლაში. მოსწავლე, რომელსაც არ ექნება ჩაბარებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა ჩათვლა, გამოცდებზე არ დაიშვება.

III. მოსწავლეები

11. დაუსწრებელ საშუალო სკოლაში მიიღება ყველა მოქალაქე, რომელსაც სურს მიიღოს საშუალო განათლება და არის არანაკლები 16 წლისა. დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმის მსურველთა განცხადებების მიღებას აწარმოებს სკოლის დირექტორი 1-ლი ივლისიდან 20 აგვისტომდე, ხოლო სკოლაში ჩარიცხვა სწარმოებს 20-დან 30 აგვისტომდე. დაუსწრებელ სკოლაში ჩარიცხვის შესახებ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საბუთები განათლების შესახებ და დადგენილი ნიმუშის შევსებული ანკეტა.

12. მოქალაქენი, რომელთაც აქვთ ამა თუ იმ კლასის დამთავრების საბუთი, დაუსწრებელი საშუალო სკოლის შესაბამის კლასებში ჩარიცხებიან გამოცდის გარეშე. განათლების საბუთის უქონლობის შემთხვევაში მოსწავლის შესაბამის კლასში ჩარიცხვა ხდება გამოცდის შედეგად.

13. დაუსწრებელი საშუალო სკოლის მოსწავლეები ვალდებული არიან დადგენილ ვადაში შეასრულონ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაო და ჩააბარონ სათანადო ჩათვლები. იმ პირებმა, რომელთაც რაიმე საპატიო მიზეზის გამო არა აქვთ საშუალება დროულად ჩააბარონ ჩათვლები, ამის შესახებ უნდა აცნობონ სკოლის ხელმძღვანელობას.

14. დაუსწრებელი საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც დადგენილ ვადებზე ვერ აბარებენ ჩათვლებს და ვერ ასრულებენ/საკონტროლო სამუშაოებს, სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილი წესებით შეიძლება გაირიცხონ სკოლიდან.

15. დაუსწრებელი საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს შვიდი კლასი ან საშუალო სკოლა და ჩააბარეს შვიდი კლასის დამთავრების გამოსაშვები გამოცდები, ან სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდები, მიიღებენ შვიდწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობას, ან ჩვეულებრივი სახის სიმწიფის ატესტატს დირექტორისა და მასწავლებლების ხელის მოწერით. დაუსწრებელი საშუალო სკოლის შვიდი კლასის დამთავრების მოწმობის და სიმწიფის ატესტატის მფლობელი სარგებლობს შვიდწლიანი და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ყველა უფლებით.

IV. დაუსწრებელი საშუალო სკოლის ხელმძღვანელობა

16. სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. დირექტორი შეირჩევა იმ მასწავლებელთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება და არანაკლები 3 წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი.

დირექტორის მოვალეობაა:

ა) სკოლის სასწავლო-მეთოდურ, ადმინისტრაციულ—სამეურნეო საქმიანობისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების მუშაობაზე ხელმძღვანელობა;

ბ) სკოლაში მოსწავლეთა მიღება და სასწავლო გეგმისა და პროგრამების შესრულებაზე კონტროლის წარმოება;

გ) ზემდგომი ორგანოების იმ განკარგულებათა შესრულება, რომლებიც სკოლას ეხება;

დ) სკოლის მასწავლებელთა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის წარდგენა დასანიშნავად და გასათავისუფლებლად.

სკოლის დირექტორი განმკარგულებელია დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, მთელი ფინანსიურ-მატერიალური საშუალებებისა, დებს ხელშეკრულებებს დაწესებულებებსა და საწარმოებთან.

დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორს შეუძლია დაუსწრებელ სკოლაში ასწავლოს რომელიმე საგანი, მაგრამ მისი კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 4 აკადემიურ საათს.

17. სასწავლო ნაწილის გამგე ინიშნება სკოლის დირექტორის წარდგენით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მოწინავე მასწავლებლებიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არა ნაკლები 3 წლისა.

18. სასწავლო ნაწილის გამგის მოვალეობას შეადგენს:

ა) სასწავლო და მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია სკოლასა და მის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში;

ბ) სისტემატური კონტროლი მოსწავლეთა წარმატებაზე, მოსწავლეთა მიერ ჩათვლებისა და საკონტროლო ნამუშევართა შესრულებაზე;

გ) კონტროლი მასწავლებელთა მუშაობის ხარისხიანობაზე, მოსწავლეთა წერიითი საკონტროლო ნამუშევრების რეცენზირების შემოწმებაზე;

დ) დირექტორის მოვალეობის შესრულება მისი არყოფნის დროს.

სასწავლო ნაწილის გამგეს შეუძლია ასწავლოს რომელიმე საგანი, მაგრამ მისი კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 4 აკადემიურ საათს.

19. სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია ევალება პუნქტის გამგეს, რომელიც სკოლის დირექტორის წარდგენით ინიშნება განათლების სამინისტროს მიერ.

საკონსულტაციო პუნქტის გამგის მოვალეობა:

ა) სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციების, ზეპირი ჩათვლების მიღებისა და გადასაყვანი გამოცდების ჩატარების ორგანიზაცია;

ბ) კონტროლი სასწავლო გეგმისა და პროგრამების შესრულებაზე;

გ) მოსწავლეთა უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით და მეთოდური განაკვეთებით;

დ) კონტროლი მასწავლებლის მუშაობაზე.

20. ცალკეული დაუსწრებელი საშუალო სკოლის შტატში, თუ მოსწავლეთა რიცხვი დიდია, შეიძლება შემოიღებულ იქნეს ინსპექტორ-მეთოდისტის თანამდებობა. ინსპექტორ-მეთოდისტის მოვალეობას შეადგენს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების ორგანიზაცია, მათი მუშაობის შემოწმება და დახმარების გაწევა.

21. დაუსწრებელი საშუალო სკოლის ადმინისტრაციულ-მომსახურე და სასწავლო-დამხმარე პერსონალის შტატები მტკიც-

დება საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელ-
მწიფო საშტატო კომისიის მიერ.

22. დაუსწრებელ საშუალო სკოლაში მასწავლებლად ინიშნება უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირი. მასწავლებლებს ნიშნავს დირექტორის წარდგენით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

23. სკოლის დირექტორთან, მისი თავმჯდომარეობით, ყალიბდება პედაგოგიური საბჭო სასწავლო ნაწილის გამგის, ინსპექტორ-მეთოდისტის და მასწავლებლების შემადგენლობით. პედაგოგიური საბჭო განიხილავს სკოლის და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გეგმებსა და ანგარიშებს, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის და მოსწავლეთა გამოშვების საკითხებს. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

V. დაფინანსება და ანგარიშგება

24. დაუსწრებელ საშუალო სკოლას აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა.

25. დაუსწრებელი საშუალო სკოლა საქმის წარმოებასა და ანგარიშგებას აწარმოებს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმებით დადგენილ ვადებში; ის პერიოდულად აბარებს ანგარიშს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების იმ ადგილობრივ ორგანოს, რომელსაც იგი ემორჩილება.

26. დაუსწრებელი საშუალო სკოლა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ნიმუშის ლერბიანი ბეჭედი.

27 დაუსწრებელი საშუალო სკოლის მთელი სასწავლო მოწყობილობა შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას და არ შეიძლება მისი გასხვისება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილების გარეშე.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1447

საქართველოს სსრ ბანათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 10 ოქტომბერი

**მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა
აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის მათი უკეთ მომზადების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 სექტემბრის № 556 დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაევალოს საბავშვო სახლების დირექტორებს:

ა) 1956 წლიდან შეუდგენენ საბავშვო სახლების აღსაზრდელთათვის საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებას და აღსაზრდელებს შეუქმნან აუცილებელი პირობები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში სამუშაოდ მომზადებისათვის;

საბავშვო სახლის აღსაზრდელთა საშუალო განათლების შემოღებასთან დაკავშირებით საბავშვო სახლებში მათი ყოფნის პერიოდი განისაზღვროს 18 წლის ასაკამდე;

ბ) საბავშვო სახლის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული აღსაზრდელები გაგზავნონ სამუშაოდ სახალხო მეურნეობაში, აგრეთვე ტექნიკურ სასწავლებლებსა, საილმწენებლო, სამთო-სამრეწველო სკოლებსა, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში.

გ) 1956/57 წლებში მოაწყონ დამხმარე მეურნეობები და აგრეთვე სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები, განამტკიცონ არსებული დამხმარე მეურნეობებისა და სახელოსნოების მატერიალური ბაზა.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს და საბავშვო სახლების დირექტორებს, შექმნათ გადაქრული ზომები საბავშვო სახლების შენობა-ნაგებობების მონტის დასამთავრებლად მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე.

3. ნება დაერთოს საბავშვო სახლის დირექტორებს:

ა) ის აღსაზრდელები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სახელოსნო სასწავლებლებში, სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის სასწავლებლებში, საქარხნო-საფაბრიკო და პროფტექნიკურ სკოლებში მიღების მოთხოვნის დამაკმაყოფილებელს და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში გასაგზავნად წესებს, დატოვონ საბავშვო სახლებში 6 თვის ვადით საწარმოო სწავლების პერიოდში, ხოლო აღსაზრდელები, რომლებსაც ფიზიკური ნაკლი და ქრონიკული დაავადება აქვთ ერთი წლის ვადით.

ბ) შრომაზე მოწყობილი აღსაზრდელის ერთი საწარმოოდან მეორეში გადასვლის აუცილებლობის შემთხვევაში აღსაზრდელის საბავშვო სახლიდან გამოშვების პირველ წელს ჩარიცხონ ის კვებაზე არანაკლებ ერთი თვისა და აღმოუჩინონ მის დახმარება სამუშაოზე განმეორებით მოწყობის საქმეში.

გ) ყოფილი აღსაზრდელები, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს, საშუალო და პროფესიულ სასწავლებლებში, არდადეგების პერიოდში ორი კვირის ვადით ჩარიცხონ საბავშვო სახლის საერთო კვებაზე.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ გაითვალისწინოს:

ა) 1957 წლის ბიუჯეტში 200 ათასი მანეთი საბავშვო სახლების დამხმარე მეურნეობების პროდუქტიული საქონლით უზრუნველსაყოფად;

ბ) საბავშვო სახლების, დამხმარე მეურნეობების და სასწავლო საწარმოო სახელოსნოების მოგების გამოყენება აღსაზრდელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კვების გასაუმჯობესებლად, ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ზევით;

გ) ამ ბრძანებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესასრულებლად გასაწევი ხარჯების დაფარვა რესპუბლიკის 1956 წლის ბიუჯეტიდან.

5. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ ორი კვირის ვადაში შეადგინოს ნორმები აღსაზრდელთა ტანსაცმელ-ფეხსაცმელით უზრუნველსაყოფად

და აგრეთვე საბავშვო სახლის ტიპური შტატები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად.

6. განემარტოს საბავშვო სახლის დირექტორებს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 სექტემბრის № 556 დადგენილებით 1956 წლის 1 ოქტომბრიდან აღსაზრდელთა კვების თანხა გადიდებულია 10⁰/₆-ით. ამასთან დაკავშირებით კვების ყოველდღიური თანხა განისაზღვრა 8 მან და 58 კაპ.

7. საბავშვო სახლების, სპეცკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ 2 კვირის განმავლობაში დაამუშაოს საბავშვო სახლის აღსაზრდელთა კვების ახალი ნორმები და წარმოადგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის მოსახსენებლად.

8. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ:

ათი დღის ვადაში წარუდგინოს განაცხადი: ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას საბავშვო სახლების დამხმარე მეურნეობისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების, საკირო ინვენტარისა და მინერალური სასუქების გამოყოფის შესახებ.

ბ) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს—საბავშვო სახლების დამხმარე მეურნეობების თესლით უზრუნველყოფის შესახებ.

9. საბავშვო სახლების დირექტორებმა განიხილონ აღნიშნული ბრძანება ვაფართოებულ პედსაბჭოს სხდომაზე და დასახონ და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი.

10. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით საბავშვო სახლის წესდება დამტკიცებულია.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე მ. ბურბულაძე

ბ რ ძ ე ნ ე ბ ა № 1484

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 20 ოქტომბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა VIII სპარტაკიადის შედეგებისა და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

ა/წლის 1-დან 12 ივლისამდე ქ. თბილისში და სოხუმში ჩატარდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა VIII სპარტაკიადი 1333 მოსწავლის მონაწილეობით. სპარტაკიადას შინ უსწრებდა შიდასასკოლო, რაიონული და საქალაქო სპარტაკიადები, სადაც მონაწილეობას იღებდა 180,000-ზე მეტი მოსწავლე. სპარტაკიადამ გამოავლინა მოსწავლეთა სპორტული მომზადების, როგორც რიცხობრივი, ისე ხარისხობრივი ზრდა; გაიზარდა ფინალურ შეჯიბრებებზე მონაწილე გუნდების რაოდენობა (სპარტაკიადაში დაშვებული იქნა 33 რაიონის 139 გუნდი—1955 წ. 109 გუნდი). ამალდა მონაწილეთა სპორტული მომზადების დონე: (ოსტატობის თანრიგით მონაწილეობდა 1956 წელს 33 მოსწავლე, 180 პირველთანრიგოსანი, 339 მეორე და 547 მესამე თანრიგოსანი; 1955 წელს კი შესატყვისად—14 მოსწავლე ოსტატობის თანრიგით, 315—პირველთანრიგოსანი, 101 მეორე და 291 მესამეთანრიგოსანი.

სპარტაკიადის ჩატარების პერიოდში დამყარდა 7 რესპუბლიკური რეკორდი. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ სახეებში გუნდებმა ვერ გამოავლინეს სათანადო მომზადება: მძლეონობაში მონაწილე გუნდების მომზადებამ ვერ უზრუნველყო მოსწავლეთა საკავშირო III სპარტაკიადისათვის თავიდანვე შესაფერისი გუნდის დაკომპლექტება, რის გამოც გუნდის მომზადება და შერჩევა ძირითადად საწვრთნელ შეკრებაზე მოხდა. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდა სპორტული მომზადების მხარე.

რეობაში აღმოჩნდა ველომარბიელთა გუნდის დაკომპლექტების საქმე. მსროლელთა ნაკრებ გუნდში პერიფერიიდან ერთი მონაწილეც ვერ მოხვდა. წინასწარ შეჯიბრებებზე სუსტი და მოუწინააღმდეგელი გუნდების გამოყვანის გამო ზოგიერთი რაიონის გუნდებმა დაკარგეს რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება, ან ამავე მიზეზით—სულ არ მიიღეს მონაწილეობა (მძლეოსნობაში მახარაძის, ცხაკაიას, ზესტაფონის, საგარეჯოს, ახალქალაქის, თელავის, სიღნაღის სასპორტო სკოლები და პიონერთა სახლები. ტანვარჯიშში—საგარეჯოს, ზესტაფონის, წულუკიძის, ჩოხატაურის ამბროლაურის და გურჯაანის სპორტსკოლები).

სპარტაკიადის ჩატარებაში მსაჯთა კოლეგიას დახმარება გაუწია საზოგადოებრივმა აქტივმა (400 მსაჯი, პედაგოგი, ექიმი და სხვა მომსახურე პერსონალი).

აღსანიშნავია ქ. თბილისის საბჭოს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს, თბილისის სავაჭრო სამმართველოს, თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის, თბილისის მილიციის სამმართველოს წარმომადგენელთა ამხ. ამხ. კ. ფაჩუაშვილის, ნ. მაისურაძის, ექ. ი. აგლაძის, მ. ბერიევის აქტიური მონაწილეობა და უფროსი მსაჯების ამხ. ამხ. გ. რცხილაძის, დ. მიქაბერიძის, ვ. სამარინის, ვ. მათეშვილის, ს. ნათაძის, თ. ყანჩაველის და ა. კალანდაძის ენერგიული მუშაობა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა სპორტული კოლექტივის საკავშირო შეჯიბრებებისათვის უკეთ მომზადებისა და მომავალი IX რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის სკოლებში სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს სსრ მოსწავლეთა VIII სპარტაკიადის სპორტულ-ტექნიკური შედეგები დამტკიცდეს.

2. პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის:

ა) პირველი ადგილი და გარდამავალი დროშა მიენიჭოს ქ. თბილისის მოსწავლეთა ნაკრებ კოლექტივს, რომელმაც მოიპოვა 12 გუნდური პირველი და ერთი მესამე ადგილი.

ბ) მეორე ადგილი მიეკუთვნოს აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს მოსწავლეთა ნაკრებ კოლექტივს, რომელმაც მოიპოვა 1—პირველი, 4—მეორე, 5—მესამე, 1—მეოთხე და 2—მეხუთე ადგილი (38 საჯარიმო ქულა).

გ) მესამე ადგილი მიეკუთვნოს აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეთა ნაკრებ კოლექტივს, რომელმაც მოიპოვა 5—მეორე, 5—მესამე, 2—მეოთხე და 1—მეხუთე ადგილი (38 საჯარიმო ქულა) და მეოთხე ადგილი მიენიჭოს ქ. ქუთაისის კოლექტივს, რომელმაც მოიპოვა 4—მეორე, 1—მესამე, 6—მეოთხე 2—მეხუთე ადგილი (დააგროვა 45 საჯარიმო ქულა).

ე) მეხუთე ადგილი—მიენიჭოს სამხრეთ ოსეთის სკოლების კოლექტივს, რომელმაც მოიპოვა 1—მეოთხე, 8—მეხუთე და (დააგროვა 68 საჯარიმო ქულა)—არ მიიღო მონაწილეობა ორ სახეობაში.

3- II ჯგუფის კოლექტივებს შორის საერთო პირველი ადგილი მიეკუთვნოს—ქ. გორის კოლექტივს, მეორე ადგილი—ხაშურის რაიონის და მესამე ადგილი—ონის რაიონის კოლექტივს.

4. ტ ა ნ ვ ა რ ჯ ი შ შ ი — პირველ ჯგუფში (პირველი ადგილი მიეკუთვნოს თბილისის, მეორე—ქ. ქუთაისის და მესამე—აჭარის ასსრ ქაბუკთა და აფხაზეთის ასსრ გოგონათა გუნდებს.

მეორე ჯგუფში—პირველი ადგილი მიეკუთვნოს გორის ქაბუკთა და ზუგდიდის გოგონათა გუნდებს;

მეორე ადგილი—მახარაძის ქაბუკთა და ონის გოგონათა გუნდებს;

მესამე ადგილი—ონის ქაბუკთა და გორის გოგონათა გუნდებს.

5. მ ძ ლ ე ო ს ნ ო ბ ა შ შ ი — პირველ ჯგუფში—პირველი ადგილი მიეკუთვნოს თბილისის ქაბუკთა და გოგონათა გუნდებს, მეორე—აფხაზეთის ასსრ და მესამე—აჭარის ასსრ გუნდებს.

მეორე ჯგუფში—პირველი ადგილი მიეკუთვნოს ზუგდიდის ქაბუკთა და ხაშურის გოგონათა გუნდებს, მეორე—ბორჯომის ქაბუკთა და ფოთის გოგონათა გუნდებს, მესამე—გორის ქაბუკთა გუნდს.

6. ფ რ ე ნ ბ უ რ თ შ ი — პირველ ჯგუფში—პირველი ადგილები მიეკუთვნოს ქ. თბილისის ქაბუკთა და გოგონათა გუნდებს, მეორე ადგილი—აჭარის ასსრ ქაბუკთა და აფხაზეთის ასსრ გოგონათა გუნდებს მესამე ადგილი — აფხაზეთის ასსრ—ქაბუკთა და აჭარის ასსრ გოგონათა გუნდებს.

მეორე ჯგუფში—ქაბუკების გუნდებში 1 ადგილი—ქ. თბილისის II გუნდს, მეორე—გორის და მესამე—სტალინირის გუნდებს; გოგონების გუნდებში—პირველი ადგილი ქ. თბილისის II გუნდს, მეორე—ბორჯომის და მესამე—გორის გუნდებს.



7. კალათბურთში—პირველ ჯგუფში—პირველი ადგილები მიეკუთვნოს ქ. თბილისის ქაბუკთა და გოგონათა გუნდებს, მეორე—აქარის ასსრ-ის ქაბუკთა და ქუთაისის გოგონათა გუნდებს; მესამე ადგილი თბილისის II ქაბუკთა და აფხაზეთის ასსრ გოგონათა გუნდებს.

მეორე ჯგუფში—I ადგილი მიეკუთვნოს ქაბუკთა გუნდებს შორის—თბილისის II გუნდს, მეორე ადგილი—ფოთის და მესამე—გორის გუნდს, გოგონათა გუნდებს შორის პირველი ადგილი მიეკუთვნოს ხაშურის, მეორე—წულუკიძის და მესამე—ჭიათურის გუნდებს.

8. ცურვაში—პირველი ადგილი ქაბუკთა გუნდებს შორის მიეკუთვნოს ქ. თბილისის, მეორე—აფხაზეთის ასსრ და მესამე—აქარის ასსრ-ის გუნდებს; გოგონებს შორის შესატყვისად—თბილისის, აქარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ გუნდებს.

9. ველო-სპორტში—ქაბუკთა გუნდებს შორის პირველი ადგილი მიეკუთვნოს აფხაზეთის ასსრ, მეორე—აქარის ასსრ და მესამე—ქ. თბილისის გუნდებს; გოგონათა გუნდებში—პირველი—ქ. თბილისის და მეორე—ქ. ქუთაისის გუნდებს.

10. მ/კ. შაშხანით სროლაში—I ადგილი მიეკუთვნოს ქ. თბილისის გუნდს, მეორე—აქარის და მესამე—ქუთაისის გუნდს.

11. ზემოხსენებული გუნდები დაჯილდოვდნენ სათანადო ხარისხის სიგელებით.

12. მერვე სპარტაკიადაში გამარჯვებული ბავშვებისა და მწვრთნელების დაჯილდოება, ჩატარებული მსაჯთა კოლეგიის მიერ ადგილებზე, თანახმად სპარტაკიადის დებულებისა, დამტკიცდეს.

13. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ გაითვალისწინოს 1957 წ. ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი ხარჯები, რაც გამოწვეულია მომავალი წლის სპარტაკიადის პროგრამაში სპორტის 5 ახალი სახის დამატებით, ამ სახეებში რესპუბლიკური შეჯიბრებებისა და შეკრებების ჩატარებით და გასაგზავნი კონტინენტის გაზრდით.

14. დაველოს აფხაზეთის და აქარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა. ო. განათლების განყოფილებას, ქ. თბილისის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავეს, ჭიათურის, გორის საქალაქო და საქართველოს სსრ რაიონების განათლების განყოფილებებს აქედანვე გაშალონ მუშაობა IX სპარტაკიადისათვის მოსამზადებლად, რისთვისაც:



ა) 1957 წლის სპარტაკიადაში შემავალ სპორტულ სახეობაში მუშაობის გაზრდის მიზნით წარმოადგინონ სასპორტო საკუთრების ჯგუფების გადანაწილების პროექტი.

ბ) დაევალონ სასპორტო სკოლებს დააკომპლექტონ ნაკრები გუნდები და აწარმოონ გუნდებისა და ცალკეული მოსწავლეების გამიზნული წვრთნა;

გ) მოაწიონ — სათანადო ბაზები და შეიძინონ საჭირო სასპორტო ინვენტარი პირველი ჯგუფის გუნდებისა 12 სახეში და მეორე ჯგუფის გუნდებისათვის 2—3 სახეში მაღალხარისხოვანი სპორტ-სმენების მოსამზადებლად.

დ) დაევალოს დირექტორებს დაეხმარონ სასპორტო სკოლებს და ფიზკულტურის მოსწავლეებს ნიჭიერ მოსწავლე — სპორტ მენეჯერების გამოვლინების საქმეში, მათი წვრთნისათვის სათანადო პირობების შექმნასა და დამაგრებაში.

15. დაევალოს ზღვისპირა ქალაქების, ქ. თბილისის, მცხეთის რაიონის განათლების განყოფილებებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნიჩბოსნობის განვითარებას, რისთვისაც შეიძინონ სათანადო ინვენტარი — ბაიდარკები, ხოლო ბათუმის, სოხუმის, ფოთის, ზუგდიდის, სამტრედიის, ქობულეთის და სხვა ქალაქების და რაიონების განათლების განყოფილებებმა გასწიონ სათანადო მუშაობა ველოსპორტის განვითარებისათვის.

მეთოდკაბინეტმა გადასცეს სოხუმის სასპორტო სკოლას — 4, აჭარის და ქუთაისის 2—2 ველომანქანა და შემოღებულ იქნას შემდგომში ყოველწლიურად ველო-მანქანების გადაცემა სასპორტო სკოლებზე, რომელთაც არა აქვთ ველო-პარკები, იმ რაოდენობით, რამდენი მოსწავლეც ამა თუ იმ სასპორტო სკოლიდან მოხვდება საკავშირო შეჯიბრებაზე ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

16. დაევალოს განათლების განყოფილებებს გააცნონ დირექტორებს ამ ბრძანებასთან ერთად ა/წლის 11 სექტემბრის ბრძანება მოსწავლეთა III საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის შედეგების შესახებ, № 1289 და ა/წლის 24 იანვრის ბრძანება № 79, საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებითა შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
 მინისტრის მოადგილე მ. ბუჩუქლაძე

ბ რ ძ ე ნ ე ბ ა № 1527

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 29 ოქტომბერი

საბავშვო სახლებში 1956 წლის მესამე კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ

საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების მიერ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში შემოწმებულია 11 საბავშვო სახლის სასწავლო-აღმზრდელითი მუშაობა და ჩატარებულია ამდენივე დოკუმენტური რევიზია.

კოჯრის № 1, შუამთის საბავშვო სახლსა და ზედარგანის დამხმარე სკოლა—ინტერნატში ჩატარებულია მოულოდნელი რევიზია.

ვაშლოვანისა და ნორიოს საბავშვო სახლების შემოწმების შედეგები განხილულია კოლეგიის მიერ და მიღებულია სათანადო ღონისძიებანი.

საბავშვო სახლების მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესების მიუხედავად, შემოწმებულ ზოგიერთ საბავშვო სახლში სასწავლო-აღმზრდელითი მუშაობა, მაინც არ დგას სათანადო სიმაღლეზე: აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება დაბალია; ასე მაგ. ლენინგორის საბავშვო სახლის 43 აღსაზრდელიდან 6 ვერ ასწრებს, ჩოქატაურის 59 აღსაზრდელიდან 3 მოსწ. მეორეწლიანი, სურამის საბავშვო სახლის 120 აღსაზრდელიდან 6 აღსაზრდელი ორსაინია.

საჩხერის, სურამის, ლენინგორის საბავშვო სახლების აღსაზრდელი არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით, ხოლო ნორიოს და სურამის საბავშვო სახლები არ არიან მომართული თვალსაჩინო ხელსაწყოებით.

საჩხერისა და ნორიოს საბავშვო სახლებში არ არის სათანადოდ მოწესრიგებული შრომითი სწავლება.

ლენინგორის, ნორიოს, ვაშლოვანის, კოჯრის № 3, 4, 5, სტ. რამის, საჩხერის, ჩოხატაურის საბავშვო სახლებში აღსაზრდელები ვერ მარაგდებიან დაწესებული ნორმისა და ასორტიმენტის პროდუქტებით. მომმარაგებელი ორგანიზაციები, საქვაპრობა, კურორტ ვაჭრობა და ცეკავშირი არ ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წ. 2 დეკემბრის № 685 დადგენილებას საბავშვო სახლების კვების პროდუქტებით მომარაგების შესახებ.

ყველა შემოწმებული საბავშვო სახლის 1956 წლის 1 ნახევრის ბიუჯეტის შესრულებაში ადგილი აქვს თანხების როგორც გადახარჯვებს ისე აუთვისებლობას. ლენინგორის და საჩხერის საბავშვო სახლებში საბუხჩალტრო დოკუმენტების გაფორმების საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

რევიზიის შედეგად ლენინგორის საბავშვო სახლის დიასახლის-მეკუჭნავე ნ. გ. კაკინოვას დააკლდა 1374 მან. 61 კაპ. პროდუქტი. ყოფილ სამნეო ნაწილის გამგეს გ. სტეფანოვს 575 მანეთი. სამნეო ნაწილის გამგე ლ. ეკალაძეს 1040 მანეთი. ბუხჩალტერ ეკ. გიგაურს 790 მანეთი.

საჩხერის, ჩოხატაურის, ლენინგორის, ნორიოს საბავშვო სახლებში დარღვეულია პროდუქტების შეძენის სახელმწიფო ფასები. ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაევალოს საბავშვო სახლების დირექტორებს და ბუხჩალტრებს უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ ამ ბრძანებასა და შემოწმების მასალებში დასახელებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება.

2. მიღებული იქნას ცნობად, რომ ლენინგორის საბავშვო სახლის ბუხჩალტერის და სამნეო ნაწილის გამგე სტეფანოვის მიერ დანაკლისი დაფარულია და ისინი გათავისუფლებული არიან სამუშაოდან.

3. დაევალოს ლენინგორის საბავშვო სახლის დირექტორს ანხ. ი. ზ. მაწიაშვილს გაათავისუფლოს სამუშაოდან დიასახლის-მეკუჭნავე ნ. კაკინოვა და მნე ო. ეკალაძე, რომლებიც ვერ იმსახურებენ ნდობას, როგორც მატერიალური პასუხისმგებელი პირები.

გაფრთხილებული იქნას ამ. ი. ზ. მაწიაშვილი, რათა ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს დოკუმენტური რევიზიის შედეგად გამოვლინებულ დარღვევათა ლიკვიდაცია.

4. დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებას (უფროსი ვ. ი. ჩინ-

ჩალაძე) ამ ბრძანების შესრულების შემოწმება მოახდინოს 1957
წლის II კვარტალში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1956 წ. 26 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე

ბ რ ძ ე ნ ე ბ ა № 1528

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 29 ოქტომბერი

თელავის რაიონის შუამთის საბავშვო სახლის შემოწმების
შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ თელავის რაიონის შუამთის საბავშვო სახლში არანორმალური მდგომარეობაა შექმნილი: ეზო მოუწესრიგებელია, აივნებს ყველგან არა აქვს მოაჯირი, რაც საშიშროებას ჰქმნის ბავშვებისათვის, ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია აბანო, შესაკეთებელია სამზარეულო და სასადილო, არა აქვთ საკმარისი რაოდენობით სასწავლო ნივთები და სათამაშოები. შუამთის საბავშვო სახლის პედაგოგიური კოლექტივი არ დგას თავის სიმაღლეზე. ნაცვლად იმისა, რომ აღმზრდელებმა თავიანთი მუშაობით გამოასწორონ საბავშვო სახლში არსებული ნაკლოვანებანი, პირიქით, ისინი ხელს უშლიან და უკან სწევენ საბავშვო სახლის საქმიანობას.

საბავშვო სახლის დირექტორს დ. არსენიშვილს თანამშრომელთა შორის არა აქვს ავტორიტეტი, არ შესწევს ძალა სათავეში ჩაუდგეს კოლექტივს და გამოასწოროს არსებული მდგომარეობა. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა.

სუსტად მუშაობენ აღმზრდელები. თ. იარაჯული, თ. გიგილაშვილი, ა. ხუციშვილი, რომელთაც დაუდევრად აქვთ შედგენილი სამუშაო გეგმები, არ ზრუნავენ ბავშვებში პირადი ჰიგიენისა და კულტურული ჩვევების განმტკიცებაზე, არა აქვთ გამოწერილი ეურნალ-გაზეთები, არ იმაღლებენ იდეურ-პოლიტიკურ დონეს.

თელავის მშრომელთა დეპუტატების რაისბჭოს აღმასკომის 1956 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით აღმზრდელ თ. გიგილაშვილს არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის გამოცხადე-

ბული აქვს სასტიკი საყვედური. ამავე გადაწყვეტილებით საბავშვო შვო სახლის დირექტორს დ. არსენიშვილს გამოცხადებული აქვს საყვედური.

ეროვნული
ხელისუფლება

სამეცადინო ოთახები არაა შესაფერისად მოწყობილი, არაა შექმნილი პედაგოგიური გარემო, ბავშვებს არა აქვთ შესაფერისი გარეგნობა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შუამთის საბავშვო სახლში შექმნილი არანორმალური მდგომარეობისა და მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გათავისუფლდეს თანამდებობიდან საბავშვო სახლის დირექტორი დ. არსენიშვილი და გამოყენებული იქნეს აღმზრდელად.

2. დავალებების სისტემატური შეუსრულებლობისა, სააღმზრდელო მუშაობის ჩაშლისა და საბავშვო სახლის მუშაობაში არეგ-დარეგის შეტანისათვის მოიხსნას სამუშაოდან აღმზრდელი თ. გიგილაშვილი.

3. სუსტი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური აღმზრდელებს ა. ხუციშვილსა და თ. იარაჯულს. თ. იარაჯული გადაყვანილი იქნეს სხვა საბავშვო სახლში.

4. დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცკოლებისა და სკოლაშ-დელ დაწესებულებათა განყოფილებას (უფროსი ამხ. ვ. ი. ჩინჩა-ლაძე) შეარჩიოს შესაფერისი კანდიდატურა შუამთის საბავშვო სახლის დირექტორის თანამდებობაზე დასამტკიცებლად.

5. თელავის რაიონის განათლების განყოფილებამ შუამთის სა-ბავშვო სახლის დირექტორთან ერთად გადასინჯოს საბავშვო სახლის პედაგოგიური კადრების შემადგენლობა და წარმოადგი-ნოს თავისი წინადადებები.

ს ა ფ უ ძ ე ვ ე ლ ი : საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე

მ. ბურბულაძე

ბ რ ძ ე ნ ე ბ ე № 1545

საქართველოს სსრ ბანათმშენის სამინისტროსადმი

1956 წლის 31 ოქტომბერი

ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-11 ოლიმპიადის
შედეგებისა და მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების
ღონისძიებათა შესახებ

აღენიშნავ, რომ ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-11 რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 64 რაიონის 756 რვაწლიანი და საშუალო სკოლის 24.850 მოსწავლემ. აქედან პირველ ტურში მონაწილეობდა 14.708 ნორჩი ფიზიკოსი და 10.142 ნორჩი ქიმიკოსი, მეორე ტურში—8.452 ნორჩი ფიზიკოსი და 6.664 ნორჩი ქიმიკოსი, მესამე ტურში—5.585 ნორჩი ფიზიკოსი და 4.422 ნორჩი ქიმიკოსი, ამათგან გამარჯვებული გამოვიდა 769 ნორჩი ფიზიკოსი და 734 ნორჩი ქიმიკოსი.

ოლიმპიადაში მოსწავლეთა მნიშვნელოვანი რაოდენობის ჩაბმითა და მუშაობის წარმატებით ჩატარებით გამოირჩეოდნენ ქ. თბილისის (მონაწილეობდა 4.956 მოსწავლე), აფხაზეთის ასს რესპუბლიკის (მონაწილეობდა 1944 მოსწავლე), აჭარის ასს რესპუბლიკის (მონაწილეობდა 2034 მოსწავლე), ქ. ქუთაისის (1022 მოსწავლე), ხაშურის (999 მოსწავლე), ვანის (936 მოსწავლე), ქუთაისის რაიონის (690 მოსწავლე), გურჯაანის (595 მოსწავლე), სიღნაღის (497 მოსწავლე), და სხვ. რაიონის სკოლები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის 23-ე, 33-ე, 36-ე, 37-ე, ქ. ფოთის 1-ლი და მე-2, ქ. ქუთაისის მე-9 და მე-18, ტყიბულის რუსული, ახალციხის მე-2 და მე-3 საშუალო სკოლებიდან ქიმიკოსთა წარმოდგენილი ნამუშევრები, ხოლო ქობულეთის მე-2 რუსული, წულუკიძის რაიონის სოფ. მათხოჯის, წითელწყაროს რუსული, წითელწყაროს რაიონის არხილოსკალოს, თელავის მე-3, ამბროლაურის, ქ. ფოთის მე-2,

მე-3 და მე-4, ქ. ქიათურის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლებში ფიზიკაში წარმოდგენილი ნამუშევრები.

აღსანიშნავია, რომ გასულ წლებთან შედარებით, წარმოდგენილი ნამუშევრები უკეთ არის შესრულებული და მეტი პასუხისმგებლობით არის შემოწმებული.

განსაკუთრებული გულისხმიერებით და ამოცანების ფაქიზად შესრულების მხრივ გამოირჩევიან მოსწავლეები: ა. შავდია, ლ. სტურუა (წულუჯიძის მე-2 საშუალო სკოლის XI კლ. მოსწავლეები), ე. გურგენიძე (ამბროლაურის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე), ა. მოდებაძე (ქიათურის მე-2 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე), თ. პოლიკარბოვა (ქ. ფოთის მე-4 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე), ე. დომაშევსკაია (ქ. ფოთის მე-3 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე), ვ. ხუბუა (გეგეჭკორის რაიონის დიდიჟყონის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე), ვ. სლუჩევსკაია (ტყიბულის რუსული საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე), ზ. აგრება (ოჩამჩირის მე-2 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე), ა. ლომინაშვილი (ქ. ბათუმის მე-14 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე), ა. კვანტალიანი (ქ. ბათუმის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე), თ. გოლეთიანი (ქ. ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე), ვ. კარაპეტეიანი (ახალციხის მე-2 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე), ს. თურმანიძე (ქედის რაიონის მერიის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე), გ. აბულაძე (ბათუმის რაიონის მეჯინისწყლის რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლე), მ. კვიციანი (თბილისის 77-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე), ე. ჯანავეი (ზნაურის რაიონის ყორნისის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე), დ. მშვენიერაძე (ზესტაფონის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე), ნ. გზირიშვილი (სიღნაღის რაიონის ვაჭირის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე), ლ. იაშვილი (ყვარელის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე) და სხვ.

აღნიშნული წარმატების მიუხედავად ნორჩ ფიზიკოსთა და ქიმიკოსთა მე 11 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრების შემოწმებამ გამოამჟღავნა, რომ რიგი რაიონების სკოლებში ჯერ კიდევ სუსტად დგას ფიზიკისა და ქიმიის სწავლება, მოსწავლეებს არა აქვთ გამომუშავებული დამოუკი-

დებელი მუშაობის ჩვევები და ვერ ამტკიცებენ აღნიშნული საგნების საფუძვლიან ცოდნას.

სკოლების ერთი ნაწილი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ფიზიკასა და ქიმიაში მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობას და ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს. ასე მაგალითად, თბილისის 53-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან პროცენტებში.

სამტრედიის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა არ იციან ხსნარები და ჰიდრატები, თბილისის კიროვის რაიონის 70-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები პრაქტიკულ სამუშაოებს ხსნიან ზეპირად.

თბილისის ლენინის რაიონის თითქმის ყველა სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები ფიზიკაში ცალკეული კლასების მიხედვით ერთნაირია. ამავე რაიონის მე-5 სკოლის X კლასის მოსწავლეები ვერ აგებენ სათანადო ნახაზებს მოცულობის მიხედვით. ავკალისა და ნორიოს საშუალო სკოლებში მოლეკულურ ფორმულებს ვერ წერენ სრულყოფილად. კარგად ვერ ერკვევიან ცნებებში — „გრამმოლეკულა“, „მოლეკულა“, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ატომებსა და მოლეკულებზე. უჭირთ ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნა.

დაბალი ხარისხის ნაშრომები წარმოადგინა ფიზიკაში ჭობულეთის საშუალო სკოლამ. ქიმიაში ცაგერის რაიონის ოყურეშის, ტვიშისა და ლაილაშის, ხობის რაიონის შუა ქვალონის, ზესტაფონის რაიონის კვალითისა და ბოსლევის საშუალო სკოლებმა და სხვ.

პროგრამული მასალის სრულ უცოდინარობას ამტკიცებენ ქიმიაში თიანეთის საშუალო სკოლის მოსწავლეები. ყვარლის რაიონის ახალი სოფლის და თერჯოლის რაიონის ზედასაზანოს სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა, მე-3 ტურის ფიზიკის ამოცანების ამოხსნაში ერთი ქულაც ვერ მიიღეს.

ფიზიკაში ერთფეროვანი და ცუდად შესრულებული ნამუშევრები წარმოადგინეს ოჩამჭურის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ამ სკოლის მე-8, მე-9 და მე-11 კლასების არცერთ მოსწავლეს არა აქვს ყველა ამოცანა ამოხსნილი სწორად, მაშინ, როცა ადგილობრივ ხელშემწყობ საბჭოებს, მათ მიერ ამოხსნილი ამოცანები მაქსიმალური ქულებით აქვთ შეფასებული. იგივე მდგომარეობაა ქ. წულუკიძის 1-ელ საშუალო სკოლაშიც.

რიგი რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების უყურადღებობის გამო საგნის მასწავლებლები და ოლიმპიადის ადგილობრივი ხელშემწყობი საბჭოები ისევ ფორმალურ და ზერელე

დამოკიდებულებას იჩენენ ოლიმპიადის ჩატარების საქმეში, მოქმედებენ დებულებისა და ინსტრუქციის შესაბამისად. ერთმანეთისაგან გადაწერას ჯერ კიდევ ფართო გასაქანი აქვს. ლეგენდული ლურად არის შეფასებული I, II და III ტურის ამოცანების წარწეული და მოსწავლეების ნამუშევრები დაუმსახურებლად არის გამოგზავნილი საორგანიზაციო კომიტეტში.

არასწორად შედგენილი დოკუმენტები წარმოადგინეს დუშეთის, თბილისის ორჯონიკიძის და გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებებმა.

ოლიმპიადაში მონაწილეობა არ მიუღიათ ახალქალაქის, ახმეტის, გარდაბნის, მესტიის, ზუგდიდის, ყაზბეგის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, თეთრიწყაროს და ცხაკაიას რაიონების საშუალო სკოლებს:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-11 რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ფიზიკაში 769 და ქიმიაში 734 მოსწავლის სიგელებით დაჯილდოებისათვის წარმოდგენილი სია დამტკიცდეს.

2. ოლიმპიადაში აქტიური მონაწილეობისათვის სიგელებით დაჯილდოებული იქნენ ქ. თბილისის 23-ე, 33-ე, 36-ე, 37-ე, 77-ე, ქ. ფოთის 1-ლი, მე-2 და მე-4, ქ. ჭიათურის 1-ლი და მე-2, ქობულეთის მე-2 რუსული, ქ. წულუკიძის მე-2, წულუკიძის რაიონის მათხოჯის, წითელწყაროს რუსული, წითელწყაროს რაიონის არხილოსკალოს, ამბროლაურის, ახალციხის მე-2 და მე-3, ქუთაისის მე-9 და მე-18 საშუალო სკოლები.

3. დაევალოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს მიმდინარე წლის დეკემბრიდან 1957 წლის 10 მარტამდე ჩაატარონ ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადა.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. საყვარელიძე გიორგი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი, თავმჯდომარე.
2. ვახაძე ნათელა — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მოადგილე.



- 3. გამრეკელი ხოფიო —საქართველოს ალკ თბილისის ქა-
მიტეტის მდივანი.
- 4. მათიაშვილი თამარ —ქ. თბილისის განათლების განყოფი-
ფილების გამგე.
- 5. ფერაძე ბიძინა —საქართველოს სსრ განათლების სა-
მინისტროს სკოლების საიმართვე-
ლოს უფროსის მოადგილე.
- 6. კვამსაძე ვიქტორ —საქართველოს სსრ განათლების სა-
მინისტროს სახელმძღვანელოებისა
და მეთოდის განყოფილების უფ-
როსის მოადგილე.
- 7. შიქაძე აბესალომ —საქართველოს სსრ პედაგოგიკურ
მეცნიერებათა ინსტიტუტის ფი-
ზიკა-მათემატიკის სექტორის გამ-
გე.
- 8. ეპიტაშვილი გიორგი —ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური
სადგურის დირექტორი, მდივანი.
- 9. უკლება კონსტანტინე —საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს სასკოლო ინსპექ-
ციის უფროსი.
- 10. ჯაფარიძე ნიკოლოზ —ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკო-
ლის ქიმიის მასწავლებელი.
- 11. დარხალია ქეთევან —საქართველოს სსრ განათლების სა-
მინისტროს ინსპექტორი.
- 12. ოთარაშვილი შევასტი —მასწავლებელთა დახელოვნების
ინსტიტუტის ფიზიკის კაბინეტის
გამგე.
- 13. კიკვიძე ბესარიონ —მასწავლებელთა დახელოვნების
ინსტიტუტის ქიმიის კაბინეტის
გამგე.
- 14. ბერინაძე შალვა —ქ. თბილისის პიონერთა და მოს-
წავლეთა სასახლის დირექტორი.
- 15. კოსტავა იაკობ —ქ. თბილისის 41-ე საშუალო სკო-
ლის ქიმიის მასწავლებელი.
- 16. კობახიძე ვალერიან —პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინს-
ტიტუტის მეცნიერი მუშაკი.
- 17. უნგიაძე კლარა —ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური
სადგურის ქიმიის ლაბორატო-
რიის გამგე.

5. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მიერ წარმოად-
გენილი ოლიმპიადის ჩატარების დებულება დამტკიცდეს.

6. ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-12 რესპუბლიკურ ოლიმპიადის საორგანიზაო კომიტეტმა გეგმიანად უხელმძღვანელოს ოლიმპიადის ჩატარებას და მუშაობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად წარმოუდგინოს მასალები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

7. სკოლების დირექტორებმა მეტი ყურადღება და პასუხისმგებლობა გამოიჩინონ ოლიმპიადის ორგანიზებულად ჩატარებისა და მასში მოსწავლეების ფართოდ ჩაბმის საქმეში.

8. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორმა ანზ. გ. ეპიტაშვილმა:

ა) დროულად ჩაატაროს ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი მუშაობა, საქირო დახმარება და კონსულტაცია გაუწიოს ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და 15 დეკემბრამდე განათლების განყოფილებები უზრუნველყოს საქირო მეთოდური მასალებით;

ბ) მიავლინოს სადგურის მუშაკები დასახმარებლად პირველ რიგში ახალქალაქის, ახმეტის, გარდაბნის, ყაზბეგის, ლენტეხის, შიდაკოვსკის, თეთრიწყაროს, ზუგდიდის და ცხაკაიას რაიონებში და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა მე-12 რესპუბლიკურ ოლიმპიადაში.

9. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურებისა და პიონერთა სახლების დირექტორებმა ფიზიკისა და ქიმიის წრეების მუშაობა მკიდროდ დაუკავშირონ ოლიმპიადის ამოცანება და წრის წევრები აქტიურად ჩააბან ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-12 რესპუბლიკურ ოლიმპიადაში.

10. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებმა:

ა) პედაგოგიურ კაბინეტებთან არსებულ ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებელთა სექციებზე განიხილონ ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-10 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები და დასახონ ღონისძიებანი ქიმიისა და ფიზიკაში მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის;

ბ) გააცნონ ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-12 რეს-

პუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების დებულება რვაწლიანი და საშუალო სკოლების ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებს და უზრუნველყოფს ოლიმპიადის მოსწავლეთა ფართო მონაწილეობას.

გ) ა/წ 15 დეკემბრამდე შექმნან ოლიმპიადის ხელშემწყობი საბჭოები.

11. გაფრთხილებულ იქნენ ახალქალაქის, ახმეტის, გარდაბნის, მესტიის, ყაზბეგის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, თეთრიწყაროს, ზუგდიდის და ცხაკიას რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები ფიზიკისა და ქიმიის მე-11 რესპუბლიკურ ოლიმპიადის რაიონის სკოლების მონაწილეობის მიუღებლობისათვის.

უზრუნველყოფს მათვე მე-12 რესპუბლიკურ ოლიმპიადის რაიონის სკოლების მონაწილეობა;

12. თიანეთისა, ყვარელისა და თერჯოლის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა სპეციალურად შეისწავლონ თიანეთის, ახალი სოფლის და ზედა საზანოს საშუალო სკოლებში ქიმიის სწავლების მდგომარეობა და დასახონ სათანადო ღონისძიებები ამ საგნის სწავლების გაუმჯობესებისათვის.

13. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) 1957 წლისათვის გაითვალისწინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო თანხა.

14. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) გამოუყოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს ოლიმპიადის საჭიროებისათვის 300 კილოგრამი საბეჭდი ქაღალდი.

15. გაზ, „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ ოლიმპიადის მიმდინარეობა.

16. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მზადებისა და ჩატარების საქმეს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ბ. კიზირია**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადისა

1956 წლის 15 დეკემბრიდან 1957 წლის 10 მარტამდე რესპუბლიკის სკოლებში ტარდება ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადა.

1. ოლიმპიადის მიზანია გააღრმავოს მოსწავლეთა ინტერესი ფიზიკისა და ქიმიის შესწავლის, ტექნიკაში მათი გამოყენებისა და ყოველდღიური ცხოვრების მოვლენების ახსნისადმი, დაეხმაროს მათ სკოლაში შესწავლილი მასალის განმეორებაში და ამით აამაღლოს მოსწავლეთა ცოდნა და გააცხოველოს ფიზიკისა და ქიმიის წრეების მუშაობა.

აუცილებელია ოლიმპიადაში მოსწავლეთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩაბმა.

2. ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადის შინაარსს შეადგენს ფიზიკასა და ქიმიაში ამოცანების ამოხსნა და თემების დამუშავება, რაც გამოავლენს მოსწავლეთა საერთო განვითარებასა და მომზადების ჰორიზონტს.

3. ოლიმპიადა ერთდროულად ტარდება ცალკე კლასების მიხედვით ფიზიკაში VIII, IX, X და XI, ხოლო ქიმიაში IX, X და XI კლასების მოსწავლეებისათვის.

4. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ზემოაღნიშნული კლასების ყველა მოსწავლეს.

5. ამოხსნილი ამოცანების შეფასება ხდება ქულებით. თითოეული ამოცანის სწორი და სრული ამოხსნა შეფასდება ორი ქულით, ამოცანის ამოხსნისას არაარსებითი შეცდომების დაშვების შემთხვევაში — 1 ქულით, ხოლო დაუმთავრებელი ნამუშევრის წარმოდგენის ან არასწორი პასუხისათვის მოსწავლეს არც ერთი ქულა არ დაეწერება.

6. პირველი (დაუსწრებელი) ტური ტარდება 1956 წლის 15 დეკემბრიდან 1956 წლის 20 დეკემბრამდე. ამ ტურისათვის 2 ამოცანას და ერთ თემას (თითოეული კლასისათვის) ადგენს და შეარჩევს საგნის მასწავლებელი, ჩააწერინებს ყველა მოსწავლეს და

გამოაკრავს სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე. შესრულებულ ნაწილზე შევრებს მასწავლებელი ასწორებს და აფასებს 30 დეკემბრამდე.

7. შეფასება იწერება თითოეული ამოცანისილი ამოცანის და დაწერილი თემის ბოლოს. აუცილებელია ყველა შეცდომის აღნიშვნა და მათი გაცნობა მოსწავლეებისათვის. სამუშაოს ბოლოში მასწავლებელი წერს ქულათა საერთო რიცხვს. პირველი ტურის მონაწილენი, რომელთაც აქვთ 6 შესაძლებლობიდან არანაკლებ 3 ქული-სა, დაიშვებიან მეორე ტურზე. ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა I ტურში და მათ შორის რამდენმა მოიპოვა მეორე ტურში მონაწილეობის უფლება, სკო-ლამ უნდა გაუგზავნოს განათლების განყოფილებას პირველი ტუ-რის დამთავრებიდან 10 დღის განმავლობაში.

8. მეორე (დასწრებული) ტური ტარდება 1957 წლის 20 იან-ვარს. ამ ტურის ამოცანებს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სად-გური დალუქული პაკეტებით უგზავნის განათლების განყოფილებებს, რომელთაც ევალებათ 20 იანვრისათვის სკოლებამდე მათი დაყვანა. ამოცანების გაუმჯობესების უზრუნველყოფა ეკისრებათ გან-თლების განყოფილებათა გამგეებს.

9. ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადის მეორე (დასწრებული) ტური ტარდება რესპუბლიკის სკოლებში ერთ-დროულად. ფიზიკაში 10 საათიდან — 13 საათამდე, ხოლო ქიმიაში 14 საათიდან — 17 საათამდე.

10. მეორე და მესამე ტურის ჩასატარებლად სკოლის დირექ-ტორის ან მასწავლო ნაწილის გამგის თავმჯდომარეობით იქმნება კომისია ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებელთა შემადგენლობით. კომისია ამ დებულებით განსაზღვრული დროისათვის ხსნის და-ლუქულ პაკეტს კლასში, ტურში მონაწილე მოსწავლეების თან-დასწრებით. ოლიმპიადის ორგანიზებულად ჩასატარებლად კომი-სიას ევალება სკოლაში სათანადო ოთახების გამოყოფა და წინას-წარ საჭირო ხელსაწყოებისა და რეაქტივების მომზადება.

11. მეორე ტურის მონაწილეთა ნამუშევრებს კომისია აგროვებს სამუშაოს დამთავრებისას და ამოწმებს 30 იან-ვრისათვის. სკოლის დირექტორი ინახავს გამარჯვებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ ორივე ტურის ამოცანებს, თემებსა და მესამე ტურზე დაშვებულ მოსწავლეთა სიას.

მეორე ტურის მონაწილენი, რომელთაც აქვთ 6 შესაძლებლო-ბიდან არანაკლებ 2 ქულისა — დაიშვებიან მესამე ტურზე.

12. მესამე (დასწრებული) ტური ტარდება 1957 წლის 10

მარტს ამ დებულების მე-9 მუხლში გათვალისწინებულ საათებში.

13. ამ ტურის ამოცანებს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური დალუქული პაკეტებით უკზავნის განათლების განყოფილებებს. რომელთაც ევალებათ 10 მარტისათვის სკოლებამდე მათი დაყვანა. ამოცანების გაუმჯობესების უზრუნველყოფა ეკისრებათ განათლების განყოფილებათა გამგებებს.

14. მესამე ტურის შემდეგ კომისია ავლენს ოლიმპიადის გამარჯვებულ მოსწავლეებს გამარჯვებულად ითვლებიან ის მოსწავლეები, რომელთაც სამივე ტურში შეაგროვეს არანაკლებ 15 ქულისა და ისეთებიც, რომელთაც ქულების ნაკლები რაოდენობა აქვთ, მაგრამ არანაკლებ 12 ქულისა და მესამე ტურში შეაგროვეს რ ქულა. ოლიმპიადის გამარჯვებულთა სიას, სამივე ტურში შესრულებულ, გასწორებულ და შეფასებულ ამოცანებთან ერთად სკოლის დირექტორი ავზავნის რაიონის განათლების განყოფილებაში არა უგვიანეს 25 მარტისა.

განყოფილებასთან შექმნილი ოლიმპიადის ხელშემწყობი საბჭო განიხილავს ოლიმპიადის გამარჯვებულ მოსწავლეთა ნამუშევრებს, შეარჩევს დასაჯილდოებელ კანდიდატებს.

განათლების განყოფილება გამარჯვებულთა სამივე ტურის ნამუშევრებს სიასთან ერთად უკზავნის რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს.

15. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი რეცენზიას უკეთებს წარმოდგენილ ნამუშევრებს, აჯამებს ადგილებზე ჩატარებული მუშაობის შედეგებს და აჯილდოებს გამარჯვებულებს. მოსწავლეები, რომლებმაც სამივე ტურში შეაგროვეს 18 ქულა, ჯილდოვდებიან I ხარისხის დიპლომებით. მოსწავლეები, რომლებმაც სამივე ტურში შეაგროვეს 16—17 ქულა — ჯილდოვდებიან II ხარისხის დიპლომებით. მოსწავლეები, რომლებმაც სამივე ტურში შეაგროვეს 15 ქულა, და ისინიც, რომლებმაც შეაგროვეს არანაკლებ 12 ქულისა (აქედან 6 ქულა მესამე ტურში), ჯილდოვდებიან III ხარისხის დიპლომებით. სიგელებით ჯილდოვდებიან ოლიმპიადის ჩატარების საუკეთესო ორგანიზატორები — მოსწავლეობები, სკოლს ხელმძღვანელები და სკოლის გარეშე დაწესებულებათა მუშაკები.

ოლიმპიადის შედეგები ქვეყნდება პრესაში და ეცნობება აგრეთვე რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებს.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი — ქ. თბილისი, პლენაროვის პროსპექტი № 182, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური.

ბ რ ძ ე ნ ე ბ ა № 1580

საქართველოს სსრ ბანათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 12 ნოემბერი

ბეთანიის სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობის
შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მიღებული სიგნალების შემოწმებით გამოიკვია, რომ ბეთანიის სკოლა-ინტერნატის ადმინისტრაციული და პედაგოგიური კადრები ორგანიზებულად არ შედგომიან იმ დიდი ამოცანის შესრულებას, რაც ამ ახალი ტიპის სასწავლო სააღმზრდელო დაწესებულებების წინაშეა დასახული.

ნაცვლად იმისა, რომ სკოლა-ინტერნატის კოლექტივი ერთსულოვნად დარაზმულიყო არსებული სიძნელების დასაძლევად, ზოგიერთმა მუშაკმა შეასუსტა მუშაობა და კოლექტივში შექმნა არაჯანსაღი განწყობილება. სკოლა-ინტერნატში ადგილი აქვს უპრინციპო კინკლაობას, ინტრიგას, დაცემულია შრომის დისციპლინა, დროულად არ ხდება სკოლის მუშაკთა ნაკლოვანებების მხილება და გამოსწორება. ამითაა გამოწვეული არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში.

სკოლა-ინტერნატის დირექტორი ამხ. მ. შუბითიძე ყოველთვის ვერ იჩენს სათანადო პრინციპულობას, დაწესებულების ერთმმართველობის პრინციპს ვერ ათანხმებს კოლექტივურ მუშაობასთან, ხასიათდება ადმინისტრირებითა და უხეშობით. მაგალითად, ამხ. მ. შუბითიძემ სკოლის მზარეულ შ. ტოგონიძეს მიაყენა შეურაცხყოფა. იგი უხეშობას იჩენს მოწაფეების მიმართაც.

ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს სკოლა-ინტერნატის მუშაობაზე. დირექტორის წაბაძვით ზოგიერთმა მასწავლებელმაც

ხელი მიჰყო უხეშობას. მასწავლებელმა ე. გოგოლაშვილმა ფიზიკურად შეურაცხყო VII კლასის ერთ-ერთი მოსწავლე.

ზოგიერთი მუშაკი (ამხ. ამხ. მ. სიმონიშვილი, შ. გედევანიშვილი) კოლევიალურ ურთიერთობაში არ არის სკოლა-ინტერნატის დირექტორ ამხ. მ. შუბითიძესთან, აზვიადებს მისი მუშაობის უარყოფით მხარეებს და არ ეხმარება მას ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. დირექტორის მიმართ ისინი ხშირად ავრცელებენ სახელისგამტებ ხმებს.

სკოლა-ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგე ამხ. ნ. გედევანიშვილი და უფროსი აღმზრდელი ამხ. მ. სიმონიშვილი სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბეთანიის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ამხ. მ. შუბითიძემ:

ა) მიიღოს გადამკრელი ზომები სკოლა-ინტერნატის თანამშრომელთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის; მიაღწიოს იმას, რომ ყველა მუშაკი ზუსტად ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას;

ბ) აღმზრდელ-მასწავლებლებისათვის მოაწყოს კულტურულ-მასობრივ და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე ლექციასაუბრები;

გ) სისტემატურად ჩაატაროს მეგობრობისა და მხატვრული დილა-სალამოები, შეხვედრები, გასვირნება-ექსკურსიები, მკითხველთა კონფერენციები;

დ) უზრუნველყოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი მეთოდური ხელმძღვანელობა; სისტემატურად მოისმინოს ცალკეული საგნების მიხედვით გაკვეთილები, შეამოწმოს სააღმზრდელო ჯგუფებში აღმზრდელ-მასწავლებლების მუშაობა და მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შედეგები პერიოდულად განიხილოს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე;

ე) გადამკრელი ღონისძიებანი გაატაროს მოსწავლეთა მტკიცე კოლექტივის შესაქმნელად; აწარმოოს მოსწავლეებთან სისტემატური მუშაობა მეგობრობისა და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებზე;

ვ) უმოკლეს დროში უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატის მატერიალური ბაზის წესრიგში მოყვანა (სასპორტო დარბაზის მოწყობა, რადიო და სატელეფონო გაყვანილობა და სხვ.);

ზ) გააუმჯობესოს სამზარეულოსა და სასადილოს მუშაობა, განამტკიცოს დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.
2. სკოლა-ინტერნატის მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობის და უტაქტო მოქმედებისათვის ამხ. მ. შუბითიძეს გამოეცხადოს საყვედური.

3. მოსწავლის ფიზიკურად შეურაცხყოფისათვის მასწავლებელ ე. გოგოლაშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

4 რადგან სკოლა ინტერნატის მუშაკთა კოლექტივში ზოგიერთი მუშაკის დატოვება აშკარად საზიანოა საქმისათვის, კოლექტივის განმტკიცება-გაჯანსაღებისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა შესამუშავებლად განოიყოს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. თ. ზახაშვილი (თავმჯდომარე), გ. საყვარელიძე და გ. შონია.

სათანადო ღონისძიებანი კომისიამ წარმოუდგინოს კოლეგიას შორივი სხდომისათვის.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი ზ. ჯიბლაძე

მეთოდური მითითებანი საკონტროლო წერიტი მუშაობის რაოდენობის, სახეებისა და შეფასების ნორმების შესახებ მათემატიკაში

საკონტროლო წერიტი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის იმის გამორკვევა, თუ რამდენად მტკიცედ და შეგნებულად შეითვისა მოსწავლემ კურსი, რომელსაც იგი აქვამად სწავლობს, რამდენად ახსოვს წინათ გავლილი მასალა, შეუძლია თუ არა პრაქტიკულად გამოიყენოს თეორიული მასალა ამოცანების ამოხსნის დროს, სწორად და რაციონალურად შეასრულოს ყველა გარდაქმნა და გამოანგარიშება, რამდენად სწორად (ლოგიკურად და ზუსტად) შეუძლია თავისი აზრის ჩამოყალიბება, რამდენად წესიერად და წიგნიერადაა შესრულებული სამუშაო.

პროგრამის ამა თუ იმ განყოფილების შეთვისების შემოწმებისათვის საკონტროლო სამუშაოდ მოსწავლეებს უნდა მიეცეს ძირითადი ტიპობრივი და სირთულის მიხედვით სხვადასხვა ხარისხის საკითხები, დაკავშირებული პროგრამის მოცემული განყოფილების ან ადრე გავლილი განყოფილების შეთვისების შემოწმებასთან.

წერიტი სამუშაო უნდა შეიცავდეს მაგალითებს, და ამოცანებს. მაღალ კლასებში შეიძლება შემოწმებითი წერიტი სამუშაო შედგებოდეს მხოლოდ მაგალითებისაგან ან მხოლოდ ამოცანებისაგან. ამ შემთხვევაში მოსწავლეთა ყურადღება არ იფანტება სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის საკითხების შესრულებაზე და მოსწავლეს საშუალება ეძლევა უფრო სრულყოფილად გამოავლინოს თავისი ცოდნა.

თითოეული სამუშაოს მოცულობა ისეთი უნდა იყოს, რომ საშუალო წარმატების მოსწავლემ შესძლოს და მოასწროს მისი არა მარტო შესრულება, არამედ შემოწმებაც. მაგრამ წერიტი სამუშაოსათვის არც იოლი მასალა უნდა შეირჩეს, ვინაიდან ასეთი მასალა ვერ მოგვცემს ნათელ წარმოდგენას მოსწავლეთა წარმატებაზე.

არითმეტიკა I—IV კლასებში



პირველ კლასში მეორე მეოთხედიდან ყოველდღიურად უნდა ტარდებოდეს მხოლოდ საკლასო-სავარჯიშო წერიტი სამუშაოების მას ეომობოდეს 10—15 წუთი; მე-2 კლასში I და II მეოთხედებში ყოველდღიურად უნდა ტარდებოდეს მხოლოდ საკლასო-სავარჯიშო წერიტი სამუშაო 15—20 წუთის ხანგრძლიობით. საკონტროლო წერიტი სამუშაოს ჩატარება უნდა დავიწყოთ მე-2 კლასში III მეოთხედიდან. მე-2 კლასში საკონტროლო წერიტი სამუშაოს ხანგრძლიობა არ უნდა აღემატებოდეს 20—25 წუთს, მე-3 კლასში 25—30 წუთს, ხოლო მე-4 კლასში დასაშვებია მას დაეთმოს ერთი აკადემიური საათი (მოსამზადებელი მუშაობის ჩათვლით).

საკონტროლო წერიტი მუშაობის გარდა მე-2, მე-3 და მე-4 კლასებში ყოველდღიურად უნდა ტარდებოდეს საკლასო-სავარჯიშო წერიტი სამუშაო და მოსწავლეებს ეძლეოდეს საშინაო წერიტი დავალება.

დაწყებით კლასებში საკონტროლო წერიტი სამუშაოების რაოდენობა არითმეტიკაში მეოთხედების მიხედვით განისაზღვროს შემდეგნაირად:

| | I კლ | II კლ | III კლ | IV კლ |
|--------------|------|-------|--------|-------|
| I მეოთხედი | — | — | 5 | 5 |
| II მეოთხედი | — | — | 4 | 4 |
| III მეოთხედი | — | 5 | 5 | 5 |
| IV მეოთხედი | — | 4 | 4 | 4 |
| სულ | | 9 | 18 | 18 |

საკონტროლო წერიტი სამუშაოს შინაარსი განისაზღვროს შემდეგი თემებით:

II კლასში, III მეოთხედიდან:

| | | |
|---|---|------|
| ცხრილური გამრავლება და ცხრილური გაყოფა | 4 | წერა |
| ცხრილგარეშე გამრავლება—გაყოფა | 2 | " |
| დროის საზომი ერთეულების გამოყენება | 1 | " |
| 1000-ის ფარგალში მოქმედებათა შესრულება და ამოცანების ამოხსნა მრგვალ ასეულებზე (განმეორებით) | 2 | " |
| სულ | 9 | " |

III კლასში

| | | |
|--|---|------|
| მეორე კლასში გავლილი მასალის განმეორება | 1 | წერა |
| 1000-ის ფარგალში მრგვალ ათეულებსა და ასეულებზე მოქმედებანი | 1 | წერა |
| 1000-ის ფარგალში ნებისმიერ რიცხვებზე ოთხივე მოქმედება | 2 | წერა |
| მრავალნიშნა რიცხვების შეკრება-გამოკლება | 1 | წერა |
| მრავალნიშნა რიცხვების გამრავლება | 1 | წერა |
| მრავალნიშნა რიცხვების გაყოფა | 1 | წერა |
| მრავალნიშნა რიცხვებზე ოთხივე მოქმედება | 3 | წერა |
| ოთხივე მოქმედება ფრჩხილებიან მაგალითებზე | 1 | წერა |
| ამოცანების ამოხსნა ყველა განყოფილებიდან | 2 | წერა |
| ამოცანების ამოხსნა (შემხვედრ მოძრაობაზე) | 1 | წერა |
| ამოცანების ამოხსნა (უცნობის პოვნაზე ორი სხვაობით) | 1 | წერა |
| პროპორციული გაყოფა | 1 | წერა |
| კომბინირებული მაგალითები (ფრჩხილებით) | 1 | წერა |
| განმეორება | 1 | წერა |

სულ . . . 18 წერა

IV კლასში

| | | |
|---|---|------|
| მესამე კლასის მასალის განმეორება | 1 | წერა |
| მრავალნიშნა (მილიარდების ჩათვლით) რიცხვების შეკრება-გამოკლება და ჯამის ძირითადი თვისებანი | 1 | წერა |
| შეკრება-გამოკლების კომპონენტებსა და შედეგებს შორის დამოკიდებულება | 1 | წერა |
| მრავალნიშნა რიცხვების გამრავლების განსაკუთრებული შემთხვევები | 1 | წერა |
| მრავალნიშნა რიცხვების გაყოფის განსაკუთრებული შემთხვევები | 1 | წერა |
| ამოცანების ამოხსნა და განმეორება | 2 | წერა |
| შედგენილი სახელდებულ რიცხვები | 1 | წერა |
| მართკუთხედის ფართობის გამოანგარიშება | 1 | წერა |
| კუბისა და პარალელპიპედის პირეულისა და მოცულობის გამოანგარიშება | 1 | წერა |
| მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნა (დროის გამოანგარიშებაზე) | 1 | წერა |

| | | |
|---|---------------|---------|
| რიცხვის რამდენიმე ნაწილის პოვნა | 1 | წერა |
| ტიპობრივი ამოცანების ამოხსნა (საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებაზე) | 1 | წერა |
| ტიპობრივი ამოცანების ამოხსნა (შეფარდების ხერხით, ჯამით და შეფარდებით) | 2 | წერა |
| არითმეტიკის ძირითადი კანონების გამოყენება | 1 | წერა |
| შედგენილი სახელდებული რიცხვები (განმეორება) | 1 | წერა |
| გეომეტრიული მასალა (განმეორება) | 1 | წერა |
| | <hr/> | |
| | სულ | 18 წერა |

მათემატიკა V—XI კლასებში

V—XI კლასებში საკონტროლო წერითი სამუშაოების რაოდენობა
მათემატიკაში მეოთხედების მიხედვით განისაზღვროს შემდეგნაირად:

| | V კლ | | VI კლ | | VII კლ | | VIII კლ | | IX კლ | | X კლ | | XI კლ | | | | | | |
|--------------------------|-------|--------|--------|-------|--------|--------|---------|------|--------|-------|-------|------|--------|-------|-------|------|---|---|---|
| | ართმ. | არითმ. | ალგებ. | გეომ. | სულ. | ალგებ. | გეომ. | სულ. | ალგებ. | გეომ. | ტრიგ. | სულ. | ალგებ. | გეომ. | ტრიგ. | სულ. | | | |
| I მეოთხედი 9 კვირა | 5 | 2 | 2 | 1 | 5 | 3 | 2 | 5 | 2 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 4 | 2 | 2 | 1 | 5 |
| II მეოთხედი 7 კვირა | 4 | 2 | 1 | 1 | 4 | 2 | 2 | 4 | 2 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 4 |
| III მეოთხედი 10 კვირა | 5 | 2 | 2 | 1 | 5 | 3 | 2 | 5 | 3 | 2 | 5 | 2 | 2 | 1 | 5 | 2 | 1 | 2 | 5 |
| IV მეოთხედი 7 კვირა | 4 | 2 | 1 | 1 | 4 | 2 | 2 | 4 | 2 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 4 |
| | 18 | | 18 | | 18 | | 15 | | 15 | | 18 | | 18 | | | | | | |

საკონტროლო წერითი სამუშაოს შინაარსი განისაზღვროს შემდეგი თემებით:

V კლასში

| | | |
|---|---------------|---------|
| 1. მთელი რიცხვები (განმეორება-გალრმავება) | 2 | წერა |
| 2. რიცხვთა გაყოფადობა | 2 | წერა |
| 3. ჩვეულებრივი წილადები | 8 | წერა |
| 4. ათწილადები | 4 | წერა |
| 5. განმეორება | 2 | წერა |
| | <hr/> | |
| | სულ | 18 წერა |

VI კლასში



ეროვნული
შინაგანმანათლებლო
სისტემა

ა რ ი თ მ ე ტ ი კ ა შ ი :

| | |
|---|--------|
| 1. შეფარდება და პროპორციები | 1 წერა |
| 2. სიდიდეთა პირდაპირი და უკუპროპორციულობა | 2 " |
| 3. პროცენტები | 3 " |
| 4. განმეორება | 2 " |

8 წერა

ა ლ გ ე ბ რ ა შ ი :

| | |
|--|--------|
| 1. ალგებრული გამოსახულებები და განტოლებანი | 2 წერა |
| 2. დადებითი და უარყოფითი რიცხვები | 2 " |
| 3. ალგებრულ გამოსახულებათა გარდაქმნები | 2 " |

6 წერა

გ ე ო მ ე ტ რ ი ა შ ი :

| | |
|--|--------|
| 1. გეომეტრიის ძირითადი ცნებები | 1 წერა |
| 2. პარალელური ხაზები | 1 " |
| 3. სამკუთხედები | 2 " |

4 წერა

VII კლასში

ა ლ გ ე ბ რ ა შ ი :

| | |
|---|--------|
| 1. დალაგებული მრავალწევრების გაყოფა | 1 წერა |
| 2. მრავალწევრთა თანამამრავლებად დაშლა | 2 " |
| 3. ალგებრული წილადები | 2 " |
| 4. პირველი ხარისხის განტოლებები | 3 " |
| 5. ორუცნობიან განტოლებათა სისტემა | 2 " |

10 წერა

გ ე ო მ ე ტ რ ი ა შ ი :

| | |
|---------------------------|--------|
| 1. ოთხკუთხედები | 4 წერა |
| 2. წრეხაზი | 4 " |

8 წერა

VIII კლასში

ა ლ გ ე ბ რ ა შ ი :

| | |
|---|--------|
| 1. ხარისხები და ფესვები | 3 წერა |
| 2. კვადრატული განტოლებანი და ისეთი განტოლებანი, | |

| | | |
|---|-------|--------|
| რომლებიც მათზე დაიყვანება | 3 | წერა |
| 3. ფუნქციები და გრაფიკები | 1 | " |
| 4. მეორე ხარისხის განტოლებათა სისტემა | 2 | წერა |
| | <hr/> | 9 წერა |

გეომეტრიაში:

| | | |
|---|-------|--------|
| 1. მონაკვეთების შეფარდება და პროპორციულობა | 1 | წერა |
| 2. ჰომოთეტია და მსგავსება | 1 | " |
| 3. მეტრული თანაფარდობები სამკუთხედსა და წრეში | 3 | " |
| 4. მრავალკუთხედების ფართობების გაზომვა | 1 | " |
| | <hr/> | 6 წერა |

IX კლასში

ალგებრაში:

| | | |
|---|-------|--------|
| 1. კვადრატული განტოლებანი და ისეთი განტოლებანი, რომლებიც მათზე დაიყვანება | 2 | წერა |
| 2. კვადრატულ განტოლებათა სისტემა | 1 | " |
| 3. რიცხვთა მიმდევრობა | 2 | " |
| 4. ხარისხის მაჩვენებლის ცნების განზოგადოება | 1 | " |
| | <hr/> | 6 წერა |

გეომეტრიაში:

| | | |
|---|-------|--------|
| 1. მეტრული თანაფარდობები სამკუთხედსა და წრეში | 2 | წერა |
| 2. მრავალკუთხედების ფართობები | 1 | " |
| 3. წესიერი მრავალკუთხედები | 1 | " |
| 4. წრეხაზის სიგრძე და წრის ფართობი | 1 | " |
| | <hr/> | 5 წერა |

ტრიგონომეტრიაში:

| | | |
|---|-------|--------|
| 1. ტრიგონომეტრიის ძირითადი ფორმულების გამოყენება | 1 | წერა |
| 2. დაყვანის ფორმულები | 1 | " |
| 3. ჯამის, სხვაობის, გამრავლებისა და გაყოფის ფორმულები | 1 | " |
| 4. მართკუთხა სამკუთხედის ამოხსნა | 1 | " |
| | <hr/> | 4 წერა |

X კლასში

ალგებრაში:

| | | |
|------------------------------|---|------|
| რიცხვთა მიმდევრობა | 3 | წერა |
|------------------------------|---|------|

| | | |
|--|---|--------|
| ხარისხის მაჩვენებლის ცნების განზოგადოება | 1 | წერა |
| მაჩვენებლიანი ფუნქცია და ლოგარიტმები | 4 | წერა |
| | | 8 წერა |

გეომეტრიაში:

| | | |
|---|---|--------|
| წესიერი მრავალკუთხედები | 1 | წერა |
| წრეხაზის სიგრძე და წრის ფართობი | 1 | " |
| სწორი ხაზები და სიბრტყეები | 3 | " |
| | | 5 წერა |

ტრიგონომეტრიაში:

| | | |
|--|---|--------|
| კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციები | 1 | წერა |
| კუთხის ცნების განზოგადოება | 1 | " |
| ორი კუთხის ჯამისა და სხვაობის ტრიგონომეტრიული ფუნქციები და სალოგარიტმო სახეზე დაყვანა | 2 | " |
| მართკუთხა სამკუთხედების ამოხსნა | 1 | " |
| | | 5 წერა |

XI კლასში

აქსიომატიკაში:

| | | |
|---|---|--------|
| შეერთებანი და ნიუტონის ბინომი | 2 | წერა |
| კომპლექსური რიცხვები | 1 | " |
| უტოლობები და განტოლებათა გამოკვლევები | 3 | " |
| უმაღლესი ხარისხის განტოლებები | 1 | " |
| | | 7 წერა |

გეომეტრიაში:

| | | |
|----------------------------------|---|--------|
| მრავალწახნაგა სხეულები | 3 | წერა |
| ბრუნვითი სხეულები | 2 | " |
| | | 5 წერა |

ტრიგონომეტრიაში:

| | | |
|--|---|------|
| ირიბკუთხა სამკუთხედების ამოხსნა | 1 | წერა |
| შექცეული ტრიგონომეტრიული ფუნქციები | 1 | " |
| ტრიგონომეტრიულ განტოლებათა ამოხსნა | 3 | " |
| ამოცანების ამოხსნა | 3 | " |

სულ 61 წერა



საკონტროლო წერიტი სამუშაოების ეს რაოდენობა დაჯეულ
უნდა იქნეს და არაარსებითი მნიშვნელობის ცვლილება
პროცესის მაღალ პედაგოგიურ-მეთოდოლოგიურ დონეზე ჩატარების
ამოცანას უნდა ემსახურებოდეს.

შეცდომების ხასიათი

საკონტროლო ნამუშევრებში დაშვებული შეცდომები სხვადა-
სხვა ხასიათისაა. ზოგი შეცდომა იმაზე ლაპარაკობს, რომ მოსწავ-
ლემ არ იცის ან მას არ ესმის საპროგრამო მასალა, ვერ იყენებს
წესს, ვერ ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას; ზოგი შეცდომა კი
არამტკიცე ცოდნის ან უყურადღებობის შედეგია.

პირველი გვარის შეცდომები უხეშ შეცდომებად ითვლება, მე-
ორე გვარის შეცდომები კი ნაკლებად უხეშია (არაარსებითია).

უხეშ შეცდომად დაწყებითი კლასებისათვის ითვლება:

ა) შეცდომები გამოთვლებში, რომლებიც მოქმედებათა შესრუ-
ლების ხერხების და წესების უცოდინარობით ან არითმეტიკულ
მოქმედებათა ცხრილური შედეგების არცოდნით არის გამოწვე-
ული.

ბ) შეცდომები ამოცანის ამოხსნისას, რაც იმას მოწმობს, რომ
მოსწავლეს საერთოდ არ ესმის ამოცანა და მისი ამოხსნა; მოქმე-
დების გამოტოვება, ზედმეტი მოქმედების შესრულება, მოქმედება-
თა არასწორად შერჩევა, რიცხვითი მონაცემების არასწორად
შერჩევა, კითხვის არასწორად დასმა, კითხვის შეუსაბამობა შერ-
ჩეულ რიცხვებთან ან მოქმედებასთან, სახელდებულ რიცხვებზე
მოქმედებათა შესრულებისას სახელწოდებათა არასწორად დასმა.

მაგალითისათვის ვიხილავთ შემდეგ ამოცანას:

„პირველი ნაკვეთიდან აიღეს 360 ც კარტოფილი, მეორიდან
240 ც-ით მეტი. მთელი მოსავლის 1/5 ნაწილი სათესლედ დატო-
ვეს. დანარჩენი კარტოფილი კი სასადილოს ჩააბარეს. რამდენი
ცენტნერი კარტოფილი ჩაუბარებიათ სასადილოსათვის?“

ამ ამოცანის ამოხსნაში უხეში შეცდომა იქნება:

ა) მოქმედების გამოტოვება, მაგალითად: 1) $360 \text{ ც} + 240 \text{ ც} = 600 \text{ ც}$. 2) $600 \text{ ც} : 5 = 120 \text{ ც}$, $600 \text{ ც} - 120 \text{ ც} = 480 \text{ ც}$. გამოტოვ-
ებულია მეორე კითხვის მოქმედება: $360 \text{ ც} + 600 \text{ ც} = 960 \text{ ც}$;

ბ) ზედმეტი მოქმედების შესრულება, მაგალითად: $1/360 \text{ ც} +$

$+240 \text{ ც} = 600 \text{ ც}$. 2) $360 \text{ ც} + 600 \text{ ც} = 960 \text{ ც}$; 3) $960 \text{ ც} : 5 = 192 \text{ ც}$;
 4) $960 \text{ ც} - 192 \text{ ც} = 768 \text{ ც}$; 5) $960 \text{ ც} - 768 \text{ ც} = 192 \text{ ც}$.
 უკანასკნელი მოქმედება ზედმეტია.



გ) მოქმედების არასწორად შერჩევა, მაგალითად, ნაცვლად
 $360 \text{ ც} + 240 \text{ ც} = 600 \text{ ც}$ მოქმედებისა შესრულებულია: $360 \times 240 =$
 $= 86400$.

დ) რიცხვითი მონაცემების არასწორად შერჩევა, მაგალითად:
 $960 \text{ ც} - 240 \text{ ც} = 720 \text{ ც}$.

ე) კითხვის არასწორად დასმა, მაგალითად: განხილული ამო-
 ცანის პირველ კითხვად დასმული რომ იყოს: „რამდენი კარტოფი-
 ლი აიღეს ორივე ნაკვეთიდან“?

ვ) სახელდებული რიცხვებისათვის სახელწოდებათა არასწორად
 მიწერა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მოსწავლეს არ ესმის ამო-
 სახსნელი კითხვა, მაგალითად, ამოცანის მესამე კითხვაში
 $960 \text{ ც} : 5 \text{ ც} = 192 \text{ ც}$.

ნაკლებად უხეშ (არაარსებით) შეცდომად უნდა ჩაითვალოს:

ა) სახელწოდებათა გამოტოვება, მაგალითად, $360 + 240 = 600 \text{ ც}$.
 ან მათი იქ დასმა, სადაც საჭირო არ არის, მაგალითად $35 \text{ მან.} \times$
 $\times 6 \text{ მან.} = 210 \text{ მან.}$

ბ) ამოცანის ამოხსნისას არაზუსტად ჩამოყალიბებული კითხვა,
 მაგალითად: „რამდენი კარტოფილი დატოვეს?“ ნაცვლად ასეთი
 კითხვისა: „რამდენი ცენტნერი კარტოფილი დატოვეს სათესლედ?“

გ) გამოანგარიშებისას არარაციონალური ხერხის გამოყენება,
 მაგალითად:

| | | |
|-------|------|-----|
| 358 | 3720 | 10 |
| 208 | 30 | 372 |
| 1864 | 72 | |
| 000 | 70 | |
| 716 | 20 | |
| 74464 | 20 | |

"

დ) რიცხვითი მონაცემების გადაწერისას დაშვებული შეცდო-
 მები, მაგალითად, ნაცვლად $65 + 18 = 83$ ჯამისა. მოსწავლემ ჩაი-
 წერა $66 + 18 = 84$ ან $65 - 18 = 47$.

შენიშვნა: ამოცანის ამოხსნისას მოქმედების ნიშნის არასწორად
 გამოყენება (ე. ი. მოქმედების არასწორად შერჩევა)
 უხეშ შეცდომად ითვლება.

ე) გარდაქმნის არდაყვანა ბოლომდე, მაგალითად, მარტივ ხე-
ხელდებულ რიცხვში არ არის შესრულებული გარდაქმნა:
325 კგ \times 160 = 52000 კგ.

გარდაქმნის
შედეგად

უფროსი კლასებისათვის (V—XI) უხეშ შეცდომად ითვლება:

1) როდესაც მოსწავლემ არ იცის ძირითადი ფორმულები, წესები, თეორემები, ამოცანების ამოხსნის ხერხები და ამიტომაც ვერ ახერხებს მათ გამოყენებას.

2) როდესაც დაშვებულია შეცდომა არითმეტიკულ მოქმედებათა გამოყენებაში და თვით მოქმედებათა შერჩევაში.

3) შეცდომები აღგებრულ გამოსახულებათა ძირითად იგივე გარდაქმნებში (კერძოდ, შეცდომები ნიშანთა წესის არცოდნის გამო), ნორმალური სახის განტოლებებისა და განტოლებათა სისტემების ამოხსნის არცოდნა, არართული ამოცანის პირობების მიხედვით განტოლების შედგენის არცოდნა; შეცდომები ლოგარითმულ გაკითხვებში, რაც მოწმობს თეორიის საფუძვლების არცოდნას.

4) ამოცანებში შემაჯალ სიდიდეთა შორის დამოკიდებულებაში გაურკვეველობა.

5) როდესაც მოსწავლეს საკმაოდ არ აქვს განვითარებული სივრცობრივი წარმოდგენები, რაც ამოცანის ამოხსნისათვისაა აუცილებელი, როდესაც მოსწავლე ვერ ახერხებს გეომეტრიული ამოცანის ამოხსნის დასაბუთებულ ახსნას (არართულ შემთხვევებში).

6) შეცდომები ტრიგონომეტრიულ გამოსახულებათა იგივე გარდაქმნებში, რაც თეორიის საფუძვლების არცოდნაზე ლაპარაკობს.

განვიხილოთ გამოანგარიშებებსა და გარდაქმნებში დაშვებული უხეშ შეცდომების ზოგიერთი მაგალითი:

$$1) 10 + 5 \cdot 4 = 60; \quad 2) \frac{3+b}{3c} = \frac{b}{c}; \quad 3) \frac{a+b}{a+c} = \frac{b}{c};$$

$$4) (a^5)^2 = a^7; \quad 5) x^3 + x^3 = x^6; \quad 6) \lg(a+b) = \lg a + \lg b;$$

$$7) \sin 2x = 2 \sin x;$$

8) თუ $\cos 2x = \frac{1}{2}$, მაშინ $x = 360^\circ n \pm 30^\circ$.



უხეში შეცდომების მაგალითები არითმეტიკასა და ამოცანების ამოხსნისას:

1) როდესაც მოსწავლემ არ იცის რიცხვის მოცემული პოვნა.

2) მოსწავლეს არ შეუძლია პროცენტებზე ერთ-ერთი ძირითადი ამოცანის ამოხსნა.

3) მოსწავლემ არ იცის ამოცანის ამოხსნა რიცხვის დაყოფაზე მოცემული რიცხვების პროპორციულ ნაწილებად.

4) მოსწავლე უკუპროპორციულობას იყენებს პირდაპირ პროპორციულობის ნაცვლად და პირიქით.

5) მოსწავლეს არ ესმის დამოკიდებულება სიდიდეებს შორის (მაგალითად, სიჩქარეს, მანძილსა და დროს შორის და ა. შ.).

ნაკლებად უხეშ (არაარსებით) შეცდომებად უნდა ჩაითვალოს ისეთები, რომლებიც, მოსწავლის უყურადღებობით შეიძლება აიხსნას. არაარსებით შეცდომებს ეკუთვნის აგრეთვე: გამოანგარიშებათა არარაციონალური ხერხების გამოყენება, არარაციონალური ჩანაწერები, ნახაზის არაზუსტად შედგენა და სხვ.

არაარსებითი შეცდომების მაგალითები:

1) არასწორი ჩანაწერები: $2 \frac{1}{2} + 3 \frac{1}{3} = \frac{5}{6} = 5 \frac{5}{6}$

2) შეფარდება 480:600:450 არ არის შეცვლილი უფრო მარტივი შეფარდებით: 16:20:15

3) $5 \frac{3}{17} + 2 \frac{11}{19} = \frac{88}{17} + \frac{49}{19}$

4)
$$\begin{array}{r} 320 \\ \times 2300 \\ \hline 000 \\ 000 \\ 960 \\ 6400 \\ \hline 736000 \end{array}$$



საქართველოს
წიგნების კავშირი

5) $x^2 - 36 = 0$ განტოლების ამოხსნისას აღებულია მარტო ერთი პასუხი $x=6$, ე. ი. ფესვის მარტო არითმეტიკული მნიშვნელობაა ნაპოვნი.

უხეში შეცდომა ზოგჯერ შეიძლება არაარსებითად ჩაითვალოს, თუ ეს შეცდომა ნამუშევარში მხოლოდ ერთხელ გვხვდება, და ამასთანავე იგივე მოქმედება ან გარდაქმნა სხვა შემთხვევაში სწორადაა შესრულებული.

მათემატიკის საკონტროლო წერის დროს დაშვებული ორთოგრაფიული შეცდომებისათვის მოსწავლეს ნიშანი არ უნდა დაეუკლოთ, მაგრამ ამის შესახებ უნდა ვაცნობოთ მშობლიური ენის მასწავლებელს.

მათემატიკური ტერმინების არასწორად ხმარება და ჩაწერა ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

წესიერად და სუფთად გადახაზვისათვის (ან ფრჩხილებში მოთავსებისათვის), თუ ამის შემდეგ ნამუშევარი მოსწავლის მიერ ხელმეორედ დამოუკიდებლად და სწორად არის შესრულებული, მოსწავლეს ნიშანი არ უნდა დაეუკლოთ; მაგრამ, თუ ასეთ გადაშლას და ხელმეორედ შესრულებას სისტემატური ხასიათი აქვს, ეს არამტიკე ცოდნის მაჩვენებელია და ამიტომ ნამუშევარი უმაღლესი ნიშნით არ შეიძლება შეფასდეს.

ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ნაწერის ამოუხეკა-ყოველ ასეთ შემთხვევაში მოსწავლეს თავიდანვე უნდა ვაგრძნობინოთ, რომ მას დააკლდება ნიშანი.

საკონტროლო წერითი ნამუშევრების გასწორებისას მასწავლებელმა შეცდომები ისე უნდა აღნიშნოს (ხაზის ქვეშ გასმით ან გვერდზე გავლებით), რომ გარკვეულად ჩანდეს, თუ რამდენი უხეში და რამდენი არაარსებითი შეცდომაა მოსწავლის მიერ დაშვებული. მიზანშეწონილია ნაკლს ქვეშ გავსვას ერთი ხაზი, უხეშ შეცდომას კი ორი ხაზი.

შეფასების ნორმები დაწყებით კლასებში

როდესაც საკონტროლო წერის მახალად მარტო მაგალითებია

ნიშანი „5“ იწერება, თუ ყველა მაგალითი სწორადაა ამოხსნილი, გაოყენებულია გამოანგარიშებათა ყველაზე რაციონალური ხერხები, მაგალითების ამოხსნის ჩანაწერები წესიერადაა შესრუ-

ლებული და თანმიმდევრობითაა დალაგებული, შესრულებულია ამოხსნის შემოწმება, როდესაც ეს საჭიროა.

ნიშანი „4“ იწერება, თუ ნამუშევარში დაშვებულია 1—2 შეცდომა, და ამათგან უხეში შეცდომა არა უმეტეს 1-ისა.

ნიშანი „3“ იწერება, თუ ნამუშევარში დაშვებულია 2—4 შეცდომა, მაგრამ ამათგან არა უმეტესი 2 უხეში შეცდომისა.

ნიშანი „2“ იწერება, თუ ნამუშევარში დაშვებულია 3-ზე მეტი უხეში შეცდომა.

როდესაც საკონტროლო წერის მახლად მართო ამოცანაა

ნიშანი „5“ იწერება, თუ ამოცანა სწორადაა ამოხსნილი: სწორადაა შედგენილი ამოცანის ამოხსნის გეგმა, სწორადაა შერჩეული მოქმედებანი, ზუსტადაა ჩამოყალიბებული მოქმედებათა შესაბამისი ყველა კითხვა, სწორადაა დასმული სახელწოდებანი, ყველა გამოანგარიშებანი სწორადაა შესრულებული რაციონალური ხერხების გამოყენებით, ჩანაწერები წესიერადაა შესრულებული და დალაგებულია თანმიმდევრობით.

თუ მოსწავლემ ამოცანა ამოხსნა თავისი ორიგინალური და მოხდენილი გზით, შეფასება „5“ შეიძლება დაიწეროს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც დაშვებულია 1—2 არაარსებითი ნაკლი.

ნიშანი „4“ იწერება, თუ სწორადაა შედგენილი ამოცანის ამოხსნის გეგმა, სწორადაა შერჩეული ყველა კითხვა, მაგრამ ამოხსნისას დაშვებულია 1—2 შეცდომა, რომელთაგან უხეში არის არა უმეტესი 1-ისა.

ნიშანი „3“ იწერება, თუ ამოცანის ამოხსნის სწორი მსვლელობისას დაშვებულია 2—4 შეცდომა, მაგრამ უხეში არის არა უმეტესი 2-ისა.

ნიშანი „2“ იწერება, თუ ამოცანის გზა (მსვლელობა) სწორი არ არის.

ნიშანი „1“ იწერება, თუ მოსწავლეს სრულებით არ დაუწყია ამოცანის ამოხსნა ან ამოხსნა ატარებს რიცხვების შემთხვევით შერჩევის ხასიათს.

როდესაც წერის თემა შეიცავს ამოცანას და მაგალითებს

ასეთ შემთხვევაში ნამუშევარი შეიძლება შეფასდეს ან ერთი საერთო ნიშნით, ან ორი ნიშნით—ცალკე ამოცანისათვის და ცალკე

მაგალითებისათვის (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შესრულებული სამუშაოს თითოეული ნაწილის ხარისხი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან).

ამასთანავე, თუ სამუშაოს ორივე ნაწილი ერთნაირადაა შესრულებული („ორივე „5“-ზე; „4“-ზე და ა. შ.), მაშინ ეს შეფასება საერთო უნდა იყოს მთელი სამუშაოსათვის.

თუ სამუშაოს ნაწილები 1-ით განსხვავებული ნიშნებითაა შეფასებული (მაგალითად, „5“-ზე და „4“-ზე ან „4“-ზე და „3“-ზე და ა. შ.), მაშინ მთელი სამუშაო უნდა შეფასდეს აღებული ნიშნებიდან უფრო დაბალით.

დასმული ორი ნიშნიდან დაბალით შევაფასებთ მთელს სამუშევარს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამუშაოს ერთი ნაწილი „5“-ზეა შეფასებული, ხოლო მეორე „3“-ზე, მაგრამ მასწავლებელს უფლება აქვს ასეთი ნამუშევარი შეაფასოს „4“-ზეც, თუ ნიშანი „5“ სამუშაოს ძირითადი ნაწილისათვისაა დასმული.

თუ სამუშაოს ერთი ნაწილი „5“-ზე ან „4“-ზეა შეფასებული მეორე ნაწილი კი „2“-ზე ან „1“-ზე, მასწავლებელს შეუძლია მთელი სამუშაო შეაფასოს „3“-ზე, თუ უმაღლესი ნიშანი დასმულია სამუშაოს ძირითადი ნაწილისათვის.

თუ სამუშაოს ერთი ნაწილი მოსწავლემ შეასრულა, მეორე კი არა და ამასთანავე საჭიროა, რომ სამუშაოს მიეცეს საერთო შეფასება, მაშინ შეფასება „3“ დაიწერება იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული ნაწილი შეფასებულა ნიშნით არა ნაკლები „4“-ისა.

შეფასების ნორმები V—XI კლასებისათვის

როდესაც თემად აღებულია მაგალითები არითმეტიკიდან, ალგებრიდან და ტრიგონომეტრიიდან

ნიშანი „5“ იწერება:

ა) თუ ყველა მაგალითი სწორადაა ამოხსნილი;

ბ) ყველა მოქმედება და გარდაქმნა ხსოვრად, უშეცდომოდაა შესრულებული, ამოხსნის ჩანაწერები დალაგებულია თანმიმდევრობით და წესიერად;

გ) შესრულებულია ამოხსნის შემოწმება, თუ არის ამის საჭიროება;

ნიშანი „4“ იწერება, თუ ნამუშევარში დაშვებულია 1—2 არაარსებითი შეცდომა.

ნიშანი „2“ იწერება, თუ დაშვებულია 2 უხეში შეცდომა.
ნიშანი „1“ იწერება, თუ დაშვებულია 2-ზე მეტი უხეში შეცდომა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე მხოლოდ მუშაობას ან და სრულებით არ დაუწყია მუშაობა.

როდესაც საკონტროლო წერის თემა აღებულია ამოცანა არითმეტიკიდან

ნიშანი „5“ იწერება იმ შემთხვევაში, როდესაც ამოცანა სწორადაა ამოხსნილი: სწორია ამოხსნის მსვლელობა, შერჩეულია ამოხსნის ყველაზე მარტივი ხერხი, ყველა მოქმედება და გარდაქმნა სწორად და რაციონალურადაა შესრულებული; მოცემულია კითხვებისა და ახსნის სწორი და სრული ფორმულირება; ჩანაწერები სწორადაა დალაგებული, თანმიმდევრობით და წესიერადაა შესრულებული, სახელწოდებანი სწორადაა დასმული, ამოცანის კითხვაზე სწორი და ამომწურავი პასუხია გაცემული, შესრულებულია შემოწმება.

ნიშანი „4“ იწერება იმ შემთხვევაში, თუ ნამუშევარში დაშვებულია არაარსებითი შეცდომები არა უმეტესი ორისა, მაგალითად: დაცული არ არის ჩანაწერთა თანმიმდევრობა, სავსებით ზუსტად არ არის ჩამოყალიბებული კითხვა, მოცემულია არასაკმაო მკაცრი ახსნა და ა. შ.

ნიშანი „3“ იწერება იმ შემთხვევაში, თუ ამოცანის ამოხსნის მსვლელობა სწორია, მაგრამ დაშვებულია 2-ზე მეტი არაარსებითი შეცდომა, რომლებიც „4“-ზე შეფასებისას არის აღნიშნული, ანდა დაშვებულია ერთი უხეში შეცდომა.

ნიშანი „2“ იმ შემთხვევაში იწერება, როდესაც ამოცანის ამოხსნის მსვლელობა სწორია, მაგრამ ამოხსნა ბოლომდე დაყვანილი არ არის ან დაშვებულია ორი ან ორზე მეტი უხეში შეცდომა.

ნიშანი „1“ იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე მხოლოდ შეუდგა ამოცანის ამოხსნას ან სრულებით არ დაუწყია ამოხსნა.

წერითი ნამუშევრის შეფასება, როდესაც თემა არის ალგებრული
ამოცანის ამოხსნა

ნიშანი „5“ იმ შემთხვევაში იწერება, როდესაც ამოცანა სწორადაა ამოხსნილი: სწორია ამოხსნის მსვლელობა, შერჩეულია ამოხსნის ყველაზე მარტივი ხერხი, ყველა მოქმედება და გარდაქმნა სწორადაა შესრულებული; უცნობთა შერჩევისათვის, მათი აღნიშვნისათვის, განტოლების ან განტოლებათა სისტემის შედგენისათვის მოცემულია დასაბუთებული ახსნა-განმარტებანი; ამოცანის ამოხსნის მსვლელობის ყველა ჩანაწერი სწორი და წესიერია, თან-

მიმდევრობითაა დალაგებული; ამოცანის კითხვაზე გაცემული
ამომწურავი პასუხი და დადგენილია შესაბამისობა მიღებულ პასუ-
ხებსა და ამოცანის პირობებს შორის.

ნიშანი „4“ იწერება იმ შემთხვევაში, თუ ნამუშევარში დაშვებულია არაარსებითი 1—2 შეცდომა (არა უმეტესი ორისა), მაგალითად: გამოყენებულია გარდაქმნის არაარაციონალური ხერხი, გაკეთებული არ არის საბოლოო დასკვნა და ა. შ.

ნიშანი „3“ იმ შემთხვევაში იწერება, თუ ამოცანის ამოხსნის მსვლელობა სწორია, მაგრამ დაშვებულია ორზე მეტი არაარსებითი შეცდომა, — ისეთი, როგორც „4“-ზე შეფასებისას გვაქვს აღნიშნული, ანდა დაშვებულია ერთი უხეში შეცდომა.

ნიშანი „2“ იწერება იმ შემთხვევაში, თუ ამოხსნის მსვლელობა სწორია, მაგრამ ამოხსნა ბოლომდე დაყვანილი არ არის, ანდა დაშვებულია ორი ან ორზე მეტი უხეში შეცდომა.

ნიშანი „1“ იწერება მაშინ, თუ მოსწავლე მხოლოდ შეუდგა ამოცანის ამოხსნას ან სრულებით არ დაუწყია ამოხსნა.

წერითი ნამუშევრის შეფასება, როდესაც თმა არის ამოცანის ამოხსნა გეომეტრიიდან და ტრიგონომეტრიიდან

ნიშანი „5“ იმ შემთხვევაში იწერება, თუ ამოცანა სწორადაა ამოხსნილი: სწორია ყველა დასაბუთება, ახსნა, ფორმულირებანი და მსჯელობა თანმიმდევრობითაა; ყველა ნახაზი სწორად და მკაფიოდაა შესრულებული; ყველა სავალდებულო გამოანგარიშება და გარდაქმნა სწორადაა შესრულებული; ამოცანის ამოხსნის მსვლელობის ყველა ჩანაწერი სწორია, წესიერადაა შესრულებული და თანმიმდევრობითაა დალაგებული, სახელწოდებანი სწორადაა დასმული; ამოცანის კითხვაზე ამომწურავი პასუხია გაცემული; აგებაზე ამოცანების ამოხსნისას შესრულებულია მუშაობის ყველა ეტაპი: ანალიზი, აგება, დამტკიცება და გამოკვლევა.

ნიშანი „4“ იწერება იმ შემთხვევაში, თუ ნამუშევარში დაშვებულია არაარსებითი შეცდომები არა უმეტესი ორისა.

ნიშანი „3“ იწერება იმ შემთხვევაში, თუ ამოცანის ამოხსნის მსვლელობა სწორია, მაგრამ დაშვებულია ორზე მეტი არაარსებითი შეცდომა ანდა დაშვებულია ერთი უხეში შეცდომა.

ნიშანი „2“ მაშინ იწერება, თუ ამოცანის ამოხსნის მსვლელობა სწორია, მაგრამ ამოხსნა ბოლომდე დაყვანილი არ არის, ანდა დაშვებულია ორი ან ორზე მეტი უხეში შეცდომა.

ნიშანი „1“ იმ შემთხვევაში იწერება, თუ მოსწავლე მხოლოდ შეუდგა ამოცანის ამოხსნას, ანდა სრულებით არ დაუსწავია ამოხსნა.

საქონის
შეფასების

კომბინირებულ წერით სამუშაოთა შეფასება მათემატიკაში

საკონტროლო წერითი მუშაობის თემა შეიძლება შეიცავდეს ამოცანასა და მაგალითებს (კომბინირებული თემა). ასეთ შემთხვევაში წინასწარ ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს თითოეული ნაწილი, შემდეგ კი მთლიანად, რომლის დროსაც მასწავლებელმა შემდეგით უნდა იხელმძღვანელოს:

ა) თუ სამუშაოს ორივე ნაწილი ერთნაირადაა შეფასებული, მაშინ ეს შეფასება საერთო იქნება მთელი ნამუშევრისათვის;

ბ) თუ სამუშაოს ნაწილები 1-ით განსხვავებული ნიშნებითაა შეფასებული (მაგალითად, „5“-ზე და „4“-ზე ან „4“-ზე „3“-ზე და ა. შ.) მაშინ მთელი სამუშაო უნდა შეფასდეს აღებული ნიშნიდან უფრო დაბალით.

გ) დასმული ორი ნიშნიდან დაბალით შევაფასებთ მთელს ნამუშევარს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამუშაოს ერთი ნაწილი „5“-ზეა შეფასებული, ხოლო მეორე „3“-ზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მასწავლებელს უფლება აქვს ასეთი ნამუშევარი შეაფასოს „4“-ზეც, თუ „5“ სამუშაოს ძირითადი ნაწილისათვისაა დასმული.

დ) თუ სამუშაოს ერთი ნაწილი „5“-ზე ან „4“-ზეა შეფასებული, მეორე ნაწილი კი „2“-ზე ან „1“-ზე, მაშინ ნამუშევარი მთლიანად უნდა შეფასდეს „2“-ზე, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია მთელი სამუშაო შეაფასოს „3“-ზეც, თუ უმაღლესი ნიშანი სამუშაოს ძირითადი ნაწილებისათვისაა დასმული.

შენიშვნა: თუ კომბინირებული სამუშაო შეიცავს ამოცანასა და ერთ მაგალითს, მაშინ ძირითად ნაწილს ამოცანა შეადგენს. თუ კომბინირებული სამუშაო შეიცავს ამოცანასა და რამდენიმე მაგალითს, მაშინ ძირითად ნაწილს შეადგენს ამოცანა და ერთ-ერთი მაგალითი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ ე № 1606

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადგი

1956 წლის 19 ნოემბერი

იან ამოს კომენსკის იუბილეს ჩატარების შესახებ

დიდი ჩეხი პედაგოგის იან ამოს კომენსკის დაბადებიდან 365 და მისი „დიდი დიდაქტიკის“ გამოცემიდან 300 წლისთავის აღსანიშნავ იუბილესთან დაკავშირებით ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. დაევალოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს:

ა) თარგმნოს ჩეხური და ლათინური ენებიდან კომენსკის რჩეული თხზულებანი და მეორე ტომის სახით გამოსცეს 1957 წლის 1 აგვისტომდე;

ბ) შეადგინოს მონოგრაფია „კომენსკის პედაგოგიური მოძღვრება“, რომელიც ინსტიტუტის გამომცემლობამ გამოსცეს ქართულ და რუსულ ენებზე 1957 წლის 1 აგვისტომდე.

2. რესპუბლის პედაგოგიური ინსტიტუტების კათედრებმა და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა 1957 წლის შემოდგომაზე ჩატარონ კომენსკისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები, ამავე პერიოდში ჩატარდეს პედაგოგიურ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებსა და სკოლებში საიუბილეო საღამოები, დიღები და მოხსენებები.

3. ჟურნალმა „კომუნისტური აღზრდისათვის“ და გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ ფართოდ გააშუქონ დიდი ჩეხი პედაგოგის — კლასიკოსის იან ამოს კომენსკის ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება, რითაც ხელი შეუწყონ კომენსკის მდიდარი პედაგოგიკური მოძღვრების შესწავლასა და მის კრიტიკულად ათვისებას.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **ზ. ჯიბლაძე**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ე № 1607

საქართველოს სსრ ბანათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 19 ნოემბერი

ზობის რაიონის ახალი ხიბულისა და ჯაპიშაქრის შვიდწლიანი სკოლის დირექტორების გ. ვ. ტყეშუჩავასა და ა. კ. ახალაიას მიერ განათლების ცენტრის ყალბი ცნობების გამოყენების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ზობის რაიონის ჯაპიშაქრისა და ახალი ხიბულის შვიდწლიანი სკოლის დირექტორებს აპოლონ კონდრატის ძე ახალაიას და გიორგი (გორგი) ვიქტორის ძე ტყეშუჩავას მოსმენილი აქვთ უმაღლესი სასწავლებლის თეორიული კურსი, მაგრამ სახელმწიფო გამოცდები არ ჩაუბარებიათ.

იმ მიზნით, რომ ახალაიას და ტყეშუჩავას მოეპოვებინათ უფლება უმაღლესი განათლების მქონე პირებისა, დანაშაულებრივი გზით მიიღეს ყალბი ცნობები სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შესახებ სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ზობის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. მ. ფალავამ ვერ გამოიჩინა საჭირო სიფხიზლე, ა. ახალაიას და გ. ტყეშუჩავას მიერ წარმოდგენილი ყალბი საბუთები მიიღო უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დოკუმენტებად და ამის მიხედვით აძლევდა მათ პირველი თანრიგის ხელფასს.

აღნიშნული ცნობები დაბეჭდილია ინსტიტუტის ბლანკზე და დასმულია ინსტიტუტის მრგვალი ბეჭედი, რომელიც ინახებოდა საქმეთა მმართველთან თამარ კუციასთან. ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის ნ. ხურციძის ხელის მოწერა—მიმსგავსებულია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. გიორგი ვიქტორის ძე ტყეშუჩავას და აპოლონ კონდრატის ძე ახალაიას მიერ წარმოდგენილი ცნობები (№№ 79, 113—1955 წლის

4 ივლისის და 3 ნოემბრის თარიღით) სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შესახებ ვაუქმდებს/როგორც ყალბი.

2. ახალი ხიბულის შვიდწლიანი სკოლის დირექტორმა ანტონიძემ ვიქტორის ძე ტყეშუჩავა მოიხსნას თანამდებობიდან, განათლების ცენტრის ყალბი ცნობის გამოყენებისათვის, ხოლო ამავე მიზეზით ჯაპიშაქრის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი აპოლონ კონდრატეს ძე ახალაია, რომელიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე არ გამოცხადდა ავადმყოფობის გამო, გადაყენებულ იქნას დირექტორის თანამდებობიდან.

3. გ. ტყეშუჩავას და ახალაიას საქმე გადაეცეს საქართველოს სსრ პროკურატურას მათ სამართალში მისაცემად.

4. ხობის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ანტონიძეს დაევა საკითხი განხილულ იქნას მისი შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ა. ახალაიას და ტ. ტყეშუჩავას მიერ დაბრუნებულია თანხა 1.601 მან. და 50 კაპ. რაოდენობით, რაც ყალბი ცნობების საფუძველზე ზედმეტად ჰქონდათ მათ მიღებული.

6. პედინსტიტუტის დირექტორმა ანტონიძემ ხონელიამ:

ა) მკაცრი კონტროლი დააწესოს ინსტიტუტის მიერ ცნობებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების სწორად გაცემის საქმეზე და უზრუნველყოს მრგვალი ბეჭედის და შტამპის საიმედოდ დაცვა;

ბ) დაადოს სასჯელი ინსტიტუტის ყოფილ საქმეთა მმართველს თ. კუციას მრგვალი ბეჭედისა და ბლანკების არასაიმედოდ შენახვისათვის.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი გ. ჯიბლაძე

ბ რ ძ ე ნ ე ბ ე № 1613

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 19 ნოემბერი

**საბავშვო სახლებისა და სპეცკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის
მზადების მიმდინარეობის შესახებ**

შემოწმებით დადასტურდა, რომ რიგი საბავშვო სახლები და სპეცკოლა-ინტერნატები დროულად შეუდგნენ 1956/57 წლის ზამთრისათვის მზადებას (თბილისის ყრუმუნჯთა სკოლა-ინტერნატი, კოჯრის №№ 1, 2, 4, და 6 საბავშვო სახლები). შენობები მოყვანილია წესრიგში, შეკეთებულია ღუმელები, სახლები უზრუნველყოფილია სათბობით, შეძენილია მაგარი და რბილი ინვენტარი.

ამასთან ერთად, ზამთრისათვის მზადყოფნის საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. სარემონტო სამუშაოები არაა დამთავრებული ქ. თბილისის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატში. გამოყოფილი 384,0 ათ. მანეთიდან 6 ნომბრისათვის ათვისებული იყო 332,0 ათ. მანეთი, მიუხედავად იმისა, რომ რემონტი 20 აგვისტომდე უნდა დამთავრებულიყო (სამუშაოებს აწარმოებს განათლების სამინისტროს სარემონტო კანტორა). ნორიოს საბავშვო სახლს 50,0 ათასი მანეთიდან ათვისებული აქვს მხოლოდ 23,0 ათ. მანეთი, კოჯრის № 3 საბავშვო სახლის რემონტისათვის გათვალისწინებული თანხა ათვისებულია, მაგრამ სამუშაოები დამთავრებული არ არის. საძინებელი ოთახების იატაკი, სააღმზრდელო ჯგუფების, სასადილოს და სამზარეულოს ოთახები შესაკეთებელია, სახურავიდან ალაგ-ალაგ წყალი ჩამოდის. ზუგდიდის საბავშვო სახლს არა აქვს აბანო და სამრეცხაო. შენობის რემონტისათვის გამოყოფილი 10,0 ათ. მანეთი საკმარისი არ არის.

რუსთავის, ონის, კოჯრის № 5, ნორიოს, ზუგდიდის საბავშვო სახლებსა და ქ. თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატში

აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლა-ინტერნატების ტორებმა:

ა) გადამკრელი ზომები მიიღონ შენობების კაპიტალური რემონტის ა/წ 30 ნოემბრამდე დამთავრების უზრუნველსაყოფად; ბ) აღსაზრდელები მოამარაგონ საჭირო თბილი ტანსაცმელითა და ფეხსაცმელით; გ) უზრუნველყონ სათბობი მასალის ადგილზე დროულად მიზიდვა.

2. წინადადება მიეცეს განათლების სამინისტროს სარემონტო კანტორის უფროსს აშხ. ვ. მაღალურაძეს ნორიოს საბავშვო სახლის რემონტი დაამთავროს 20 ნოემბრამდე; ხოლო ქ. თბილისის უსინათლოთა სკოლა-ინტერნატის შენობისა—30 ნოემბრამდე.

3. კოჯრის № 3 საბავშვო სახლის აუცილებელი სარემონტო სამუშაოების დასაზუსტებლად გამოიყოს კომისია აშხ. აშხ. ვ. ხუციშვილის, ა. მოსაშვილისა და ა. ბახტაძის შემადგენლობით.

დაევალოს კომისიას შემოწმების შედეგების შესახებ მოხსენებითი ბარათი და წინადადებები წარმოადგინოს ა/წ 19 ნოემბერს.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებასთან ერთად 5 დღის ვადაში წარმოადგინოს გასანაწილებელი თანხების პროექტი საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლა-ინტერნატების აუცილებელი რბილი ინვენტარით უზრუნველსაყოფად.

5. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ვ. ჩინჩიალაძე) თვალყურით ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 16 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი გ. ჯიბლაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|--|----|
| 1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაუსწრებელი საშუალო სკოლის დებულება | 3 |
| 2. ბრძანება № 1447—მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ | 9 |
| 3. ბრძანება № 1484—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეჯის მოსწავლეთა VIII სპარტაკიადის შედეგებისა და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ | 12 |
| 4. ბრძანება № 1527—საბავშვო სახლებში 1956 წლის მესამე კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ | 17 |
| 5. ბრძანება № 1528—თელავის რაიონის შუამთის საბავშვო სახლის შემოწმების შედეგების შესახებ | 20 |
| 6. ბრძანება № 1545—ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-11 ოლიმპიადის შედეგებისა და მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ | 22 |
| 7. დებულება ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადისა | 29 |
| 8. ბრძანება № 1580—ბეთანიის სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ | 32 |
| 9. მეთოდური მითითებანი საკონტროლო წერიითი მუშაობის რაოდენობის, სახეებისა და შეფასების ნორმების შესახებ მათემატიკაში | 35 |
| 10. ბრძანება № 1606—იან ამოს კომენსკის იუბილეს ჩატარების შესახებ | 52 |
| 11. ბრძანება № 1607—ხობის რაიონის ახალი ნიბულისა და ჯაბიშაქრის შვიდწლიანი სკოლის დირექტორების გ. ვ. ტყებუჩავასა და ა. კ. ანაღიას მიერ განათლების ცენზის ყალბი ცნობების გამოყენების შესახებ | 53 |
| 12. ბრძანება № 1613—საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლა-ინტერნატების ზამთრისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ | 55 |

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
ტექნიკური პ. გუნიავა



ტირაჟი 5000.

შეკვეთა № 2421.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XII-56 წ., ანაწილების ზომა 6X9¹/₂,
ქალაქის ზომა 60X84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,75.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამოცემლობისა და
პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

18.10/1



ქართული
ხელნაწილების

უფასო